პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ შაბათი 8 აპრილი 1978 წ. ☐ № 83 (17127) ☐ ფასი 2 კაპ.

1920 ■ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ■ 1978

## სოფელი — საპირველმაისოდ

### თესავენ სიმინდს

ზალი. („კომუნისტის“ კორ). ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებმა, რომლებიც გულდასმით ეცნობიან ახალი კონსტიტუციის პროექტს, ფართოდ გაშალეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები.

რაიონში სიმინდის თესვა ყველაზე ადრე სოციალისტური შრომის გმირის ხუხუტი შონიას ბრიგადამ დაიწყო. ბრიგადის წევრი მექანიზატორი ჯემალ კუკავა პირველი დღიდანვე სიმინდის თესვის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. კარგად მუშაობენ მთესველები ბიჭიკო და იგორი გასაშვილები, ვანო ბაღაშვილი.

სიმინდის თესვასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციებში მწკრივთშორისების კულტივაცია. ამ საქმეში პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან ვალტერ შამათავა, ლუდა ჯობავა, ხოლო სასუქის შეტანაში — თამარ გაბისონია, ნათელა, სულიკო ბაღაშვილები, ლამარა გამსახურდია, ლენა ზუხბაია, ლუბა შონია.

სიმინდის თესვაში სათეს მანქანებს შეუფერხებლად ამუშავებენ სხვა ბრიგადის მექანიზატორები — ჯ. კუკავა, ჯ. მიქავა, რ. შამათავა, ხოლო ჩაის პლანტაციებში მწკრივთშორისების კულტივაციაში მოწინავეთა რიგებში არიან მ. ჯუმუტია, რეზო, ნოდარ შამათავები, ნ. ჯუმუტია.

პირველ დღეს კოლმეურნეობაში სიმინდი 40 ჰექტარზე დაითესა, ხოლო ჩაის პლანტაციებში მწკრივთშორისების კულტივაცია [illegible].

### სიტყვის ნაცვლად

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის გზით ამბროლაურის რაიონის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულება, ხორცის მიყიდვის ვალდებულება შესრულდა 103 პროცენტით, რძისა — 108,7 პროცენტით, კვერცხისა — 113,3 პროცენტით, ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შარაბიძემ.

# ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია წყნარი ოკეანის ფლოტს

7 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალის ს. გ. გორშკოვის თანხლებით ეწვია წყნარი ოკეანის წითელდროშოვან ფლოტს.

კრეისერ „ადმირალ სენიავინზე“ ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, აღმართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ალამი. შესრულდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, დ. თ. უსტინოვი, ს. გ. გორშკოვი, არმიის გენერალი ი. მ. ტრეტიაკი წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის სარდალთან ადმირალ ვ. პ. მასლოვთან ერთად კრეისერით ზღვაში გავიდნენ, ნახეს ფლოტის ძალების ორმხრივი წვრთნა, საბრძოლო ხომალდების რაზმის მოქმედება, რომლებიც წვრთნის დროს ებრძოდნენ მეორე მხრის სხვადასხვა გვარეობის ძალებს.

წვრთნაზე იყვნენ სკკპ შორეული აღმოსავლეთის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ წყნარი ოკეანის მეზღვაურებმა ცხადყვეს კარგი გაწვრთნილობა, უნარიანად აწარმოებდნენ ბრძოლას წყალქვეშა ნავებთან, საზღვაო ხომალდებთან და ავიაციასთან.

მან აგრეთვე აღნიშნა ფლოტის ძალებისა და საშუალებების მართვის ორგანიზაციის მაღალი დონე.

წვრთნის დამთავრების შემდეგ მის მონაწილეთა წინაშე კრეისერ „ადმირალ სენიავინზე“ გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

გამოსვლის ტექსტი იბეჭდება პრესაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ხომალდების შენაერთის მეთაურმა კონტრ-ადმირალმა ვ. თ. ვარგანოვმა. მან თქვა:

თქვენი მობრძანება ჩვენთან, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მიგვაჩნია წყნარი ოკეანის სამხედრო მეზღვაურებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად თქვენი ზრუნვის ახალ გამოვლინებად.

მოგახსენებთ: პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული შენაერთის მთელი პირადი შემადგენლობა მტკიცედ ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნებს — საიმედოდ დაიცვას სოციალისტური სამშობლო, მუდამ მზად იყოს ბრძოლისათვის, რათა დაუყოვნებლივ უკუაგდოს ნებისმიერი აგრესორი.

ჩვენ გიცნობთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, როგორც ერთგულ ლენინელს, პარტიისა და სახელმწიფოს ბრძენ ხელმძღვანელს, გამოჩენილ მხედართუფროსს. ამიტომ ნება გვიბოძეთ, მთელი პირადი შემადგენლობის სახელით უდიდესი სიხარულით, სულითა და გულით მოგილოცოთ „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოება. ეს მოვლენა მიგვაჩნია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სამშობლოს და მისი შეიარაღებული ძალების წინაშე თქვენს უდიდეს დამსახურებათა ღირსეულ დაფასებად.

შენაერთის მეთაურმა წყნარი ოკეანის მეზღვაურთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცებისა და განვითარებაზე უდიდესი ზრუნვისათვის და აღუთქვა, რომ ისინი კვლავაც საიმედოდ იდგებიან საბჭოეთის საზღვაო საზღვრების სადარაჯოზე.

(საკდესი).



ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია წყნარი ოკეანის ფლოტს. სურათზე: კრეისერ „ადმირალ სენიავინზე“. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ჩემი სახელით მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით წყნარი ოკეანის სახელოვანი წითელდროშოვანი ფლოტის მატროსებს, ოფიცრებსა და ადმირალებს.

დღეს თქვენთან ფლოტში წვრთნას დავესწარი და დიდი კმაყოფილებით შემიძლია ვთქვა: ფლოტის პირადმა შემადგენლობამ და მისმა სარდლობამ დიდი მუშაობა გასწიეს ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, საზღვაო ოპერაციათა წარმოების ოსტატობის სრულყოფისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ წყნარი ოკეანის ფლოტი და მისი პირადი შემადგენლობა კვლავაც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ წმიდათაწმიდა მოვალეობას — საიმედოდ დაიცავენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესებს.

მშვიდობის პირობებში ჩვენ ვწყვეტთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. ჩვენი გეგმების ცენტრშია საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება.

როცა ვიხილავთ პარტიის მიერ დასახულ ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმებს, სამეურნეო მშენებლობის საკითხებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ იმას, თუ როგორ ვითარდება საერთაშორისო მდგომარეობა.

მსოფლიოში საქმეთა ახლანდელი ვითარებისათვის განმსაზღვრელი იყო შემობრუნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ. ამ გზაზე მიღწეულ შთამბეჭდავ წარმატებებში უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი პარტიის მიერ ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრულმა განხორციელებამ, სსრ კავშირის, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისა და ხალხების მიზანდასახულმა მეცადინეობამ.

ეს წარმატებანი ადვილად როდი მოვიდა, ისინი დაძაბულ ბრძოლაში მოვიპოვეთ. ბრძოლა დაძაბულობის შენელების შემდგომი ბედის საკითხების გარშემო ახლაც არ წყდება, ზოგჯერ კი დიდ სიმწვავესა და ინტენსიურობას იძენს.

ამხანაგებო! ამა თუ იმ პრობლემის მთელი მნიშვნელობის მიუხედავად თანამედროვე პირობებში არა არის რა რეალური განიარაღების მიღწევაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ქვეყნად ყოველი ადამიანის ბედს ეხება. შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, უზრუნველვყოთ თერმოატომური კატასტროფის საფრთხის შენელებისაკენ, საბოლოო ანგარიშით კი მისი აღმოფხვრისაკენ წინსვლა — აი ძირითადი პრობლემა, რომელიც ახლა ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში დგას. სწორედ აქ, ამ მიმართულებით წყდება ძირეული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება მომავალში საერთაშორისო ვითარება, სწორედ აქ ჩაღდება ახლა ყველაზე მწვავე ბრძოლაც.

საიდუმლო როდია, რომ ჩვენი საზღვრების დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც არიან ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან კიდევ უფრო გააღვივონ გამალებული შეიარაღება, გაამწვავონ შიშისა და მტრობის ატმოსფერო. ისინი თესავენ ეჭვს, რომ შესაძლებელია შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შესახებ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება, ხელს უშლიან ამ დარგში შეთანხმებათა მიღწევას.

აღნიშნული ძალების საქმიანობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგიერთი სხვა ქვეყნის პოზიციებზე, რომლებიც გამალებული შეიარაღების შეკავებისა და შეწყვეტის საკითხებზე მოლაპარაკებაში სსრ კავშირის პარტნიორები არიან.

როგორც ცნობილია, 1974 წლის ნოემბერში აქ, შორეული აღმოსავლეთის მიწაზე, ვლადივოსტოკში, გაიმართა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მას მოჰყვა მორიგება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გრძელვადიანი შეთანხმების დადების თაობაზე. ამავე დროს მხარეებმა ყოველმხრივ შეაფასეს სიტუაცია და სწორედ მაშინ დაასკვნეს, რომ შეთანხმების საბოლოო შემუშავება შესაძლებელია უკვე მომავალ 1975 წელს.

მაგრამ თითქმის სამწელიწად-ნახევარი გავიდა და შეთანხმება კი ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი. ამის მიზეზებზე მე უკვე მომიხდა ლაპარაკი. როგორც მოლაპარაკების გამოცდილება, ამ დარგში წინათ დადებული შეთანხმების მთელი პრაქტიკა მოწმობს, თუ მხარეები სათანადო გაგებით მოეკიდებიან უდიდესი მნიშვნელობის ამ პრობლემას, თუ ნამდვილად მოისურვებენ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების შეთანხმებულ საფუძველზე მორიგებას — შეძლებენ გამონახონ, თითქოსდა ყველაზე რთული საკითხების გადაწყვეტის გზა. უნდა ითქვას, რომ მეტი წილი დოკუმენტებისა, რომლებიც ახლა მზადდება, უკვე შეთანხმებული და დამუშავებულია.

და თუ მაინც ამ მუშაობის საბოლოო დამთავრება ჭიანურდება, როგორც ჩანს, ეს პოლიტიკური მიზეზებით ხდება. საქმის არსი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იჩენს გაუბედაობას, თანამიმდევრული არ არის, ანგარიშს უწევს იმ წრეებს, რომლებიც იმთავითვე შეთანხმების წინააღმდეგი იყვნენ და არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ ჩაშალონ იგი და თავისუფლად განაგრძონ უკონტროლო გამალებული რაკეტულ-ატომური შეიარაღება. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ის არის, რომ მოლაპარაკების დროს ამერიკის მხარემ არაერთგზის ხცადა თავის სასარგებლოდ შეესწორებინა ან საერთოდ ეჭვქვეშ დაეყენებინა ის, რაც უკვე წინათ შეთანხმებული იყო, ხოლო საქმიანი მსჯელობის ნაცვლად წამოეჭრა ათასგვარი საკითხი, რაც ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს — მას არ სურს ეძებოს საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტის გზები. უფრო მეტიც, ვლინდება ტენდენცია — მოლაპარაკებაში მიღწეული პროგრესი, და საერთოდ შეთანხმების ბედი დაუკავშირონ სხვა პოლიტიკურ პრობლემებს იმ იმედით, რომ ზეგავლენა მოახდინონ საბჭოთა კავშირზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი გეზი გამოვლინდა უკვე ვლადივოსტოკის შეხვედრის დამთავრებისთანავე. ამის შედეგად შეთანხმებაზე მუშაობა მაშინ პრაქტიკულად შეფერხდა, ხოლო ზოგიერთი ასპექტით უკანაც კი დაიხია.

საჭირო გახდა დიდი მეცადინეობა, რათა მოლაპარაკება ვლადივოსტოკის მორიგებათა კალაპოტში ჩამდგარიყო. და საბოლოო ანგარიშით ეს გაკეთდა. მოინახა ზოგიერთი დარჩენილი საკითხის პრინციპული გადაწყვეტის გზები და საერთოდ მნიშვნელოვნად შევიწროვდა შეთანხმების ბოლომდე დაუმუშავებელი დებულებების წრე. ეს ბევრად განაპირობა სსრ კავშირის მოთმინებამ და კონსტრუქციულმა პოზიციამ.

ამასთანავე გასაგებია, რომ დარჩენილი საკითხები ვერ გადაწყდება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები შემხვედრ ნაბიჯს არ გადმოდგამს. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, ასეთ ნაბიჯებს უკანასკნელ ხანს ვერ ვხედავთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შეერთებულ შტატებში ზოგ-ზოგებს სურთ შეთანხმების დადებისადმი ჩვენი მზადყოფნით ისარგებლონ, რათა ცალმხრივი უპირატესობანი მოიპოვონ შეერთებული შტატებისათვის. მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას ის ცდები, რომლებსაც მოლაპარაკებაზე მიმართავენ, რათა როგორმე გააქარწყლონ, მაგალითად, მიღწეული მორიგება ფრთოსანი რაკეტების შეზღუდვის შესახებ ან დაუწესონ უსაფუძვლო შეზღუდვები საბჭოთა რაკეტებს, ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუტოვონ მოქმედების სრული თავისუფლება სტრატეგიული შეიარაღების ახალი ტიპის პრაქტიკულად ყველა კომპონენტის მოდერნიზაციისა და შექმნის საქმეში.

ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ყოველ ცდას თავს მოგვახვიონ შეთანხმების მიუღებელი პირობები. ჩვენ გვითქვამს და ახლაც ვამბობთ — საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს მორიგება ოღონდ ისეთი, რომელიც ზუსტად შეესაბამება თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპს, ნამდვილად გამოხატავს ამ ფუძემდებელ პრინციპს. ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ შეთანხმება რაღაც უპირატესობას გვაძლევდეს მეორე მხარის ხარჯზე, მაგრამ მისგანაც ზუსტად ასეთსავე მიდგომას მოველით. სხვანაირად საკითხი ვერ გადაწყდება.

მოლაპარაკების შემდგომ დაყოვნებას და მის გარშემო ყოველგვარ მანევრს შეიძლება მხოლოდ ის მოჰყვეს, რომ ხელიდან გავუშვებთ შეთანხმების დადების შესაძლებლობას, და მაშასადამე, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების უფრო შორს გამიზნულ ღონისძიებებზე შემდგომი გადასვლის შესაძლებლობასაც. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი პერსპექტივა არ შეიძლება ვინმეს ხელს აძლევდეს.

ამიტომ მინდა ვიქონიო იმედი, რომ ვაშინგტონში გამოიტანენ სათანადო დასკვნებს და ბოლოს და ბოლოს დაადგებიან მოლაპარაკების ნაყოფიერად დამთავრების კურსს.

არის განიარაღების მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომლებზეც ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება და რომელთა გადაწყვეტის დრო დიდი ხანია მომწიფდა. ამის შესახებ ჩვენი კონსტრუქციული წინადადებანი კარგად არის ცნობილი. ზუსტად ასევე ცნობილია ჩვენი ქვეყნის მიერ წამოყენებული ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების დამკვიდრების კონკრეტულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსიც. ჩვენ ვაპირებთ ყველაფერი ვიღონოთ ამ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის.

უკანასკნელ ხანს დასავლეთში და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი განცხადება გაკეთდა განიარაღების სასარგებლოდ. მაგრამ ხალხები სიტყვით კი არა, საქმით მსჯელობენ. ამ მხრივ საგულისხმოა ნეიტრონული იარაღის საკითხი. ეს არის მასობრივი მოსპობის ახალი სახეობის იარაღი. იმის თქმა, თითქოს იგი „თავდაცვითი“ ხასიათისა იყოს, სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს არის ბირთვული შეტევითი იარაღი, ამასთან უპირატესად ადამიანთა მოსასპობად არის გამიზნული. ეს იარაღი ზრდის ბირთვული ომის წარმოქმნის საფრთხეს.

რაკი ამ იარაღის შექმნისა და ევროპაში მისი განლაგების გეგმების წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო მოძრაობას წააწყდნენ, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყანა ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ხალხები, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს მზად იყვნენ ამ საკითხზე აწარმოონ მოლაპარაკება სსრ კავშირთან, სინამდვილეში კი ისწრაფვიან იგი ვაჭრობის საგნად აქციონ და ამ იარაღს უკავშირებენ სხვა საკითხებს, რომლებსაც მასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ყოველივე ამით ნიღბავენ მხოლოდ ერთ რამეს — თავი აარიდონ სსრ კავშირის ზუსტ და კონკრეტულ წინადადებას ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ორმხრივი უარისთქმის შესახებ. ამგვარი ლავირება, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ მოწმობს, რომ სერიოზული განზრახვა ამოძრავებდეთ განიარაღების სასარგებლოდ, იგი ხელს არ უწყობს ამ მიზნისაკენ წინსვლას.

დროა, დასავლეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი ნამდვილად ჩაუფიქრდეს, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი ხალხების, ყველა ხალხის წინაშე მსოფლიოს ბედისათვის, საქმით დაადასტუროს, რომ მზად არის გადადგას ქმედითი ნაბიჯები გამალებული შეიარაღების ალაგმვის გზაზე.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიაღწიოს სამხედრო დაძაბულობის შენელების გზით განუხრელ წინსვლას, რეალურ განიარაღებაზე გადასვლას. ასეთია ჩვენი მტკიცე პოლიტიკა და ჩვენც განუხრელად განვახორციელებთ მას.

ამხანაგებო!

ჩვენ არავის არ ვემუქრებით. ეგრეთ წოდებულ „საბჭოთა მუქარაზე“ ლაპარაკი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა აშკარა მონაჭორია და სხვა არაფერი. ჩვენს თავდაცვას მხოლოდ ერთადერთი მიზნით სრულვყოფთ: საიმედოდ და მტკიცედ დავიცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვრები, საბჭოთა ადამიანების, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების მშვიდობიანი შრომა. ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურებიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები.

უკვდავია საბჭოთა მეზღვაურების დიდება. მაშ კვლავაც იყავით მისი ერთგულნი! აიმაღლეთ მხედრული ოსტატობა, საბრძოლო გაწვრთნილობა, სრულყავით პოლიტიკური მომზადება, ღირსეულად ატარეთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების დროშა!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გისურვოთ დიდი წარმატებანი თქვენ და ვლადივოსტოკის, იმ ქალაქის მცხოვრებთ, სადაც წმიდად იცავენ ზღვისპირელთა უფროსი თაობების რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომელიც საიმედოდ იცავს ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებს!

---

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს, მისი სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

## რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

7 აპრილს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ა. იასნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს რუსეთის სფსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევის ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგებისა და იმ წინადადებების შესახებ, რომლებიც ამ განხილვის დროს შევიდა.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა კომისიის მიერ წარდგენილი რუსეთის სფსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, რომელიც დაზუსტდა და შეივსო რესპუბლიკაში მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით. გადაწყდა პროექტი განსახილველად წარუდგინონ რუსეთის სფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიას. (საკდესი).

## კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სხდომა

მოსკოვში გაიმართა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სხდომა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს გასულ წელს კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და მიმდინარე წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში სოფლის მშრომელთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის შესაბამისად.

მომხსენებელმა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. პ. ჩუბაროვმა და სხდომაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ გასულ წელს კოლმეურნეობებმა აწარმოეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს მთელი მარცვლის ნახევარზე მეტი, 70 პროცენტი ბამბა, 90 პროცენტი შაქრის ჭარხალი, დიდძალი ხორცი, რძე, სხვა პროდუქცია.

სხდომაზე ილაპარაკეს მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა საბჭოების საქმიანობის ნაკლოვანებებზე. მიღებულ დადგენილებაში დასახულია საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის, საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადაში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოწყობის, პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით დამთავრების კონკრეტული ღონისძიებანი.

სხდომაზე მოისმინეს და განიხილეს უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პ. ნ. პოგრებნიაკის მოხსენება რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების, საკვები ბაზის განმტკიცებისა და ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

სხდომაზე გამოვიდა კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. კ. მესიაცი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვ. ა. კარლოვი. (საკდესი).

## მომავალი ვიზიტი

მიღწეული მორიგების შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი მოსკოვს ეწვევა მიმდინარე წლის აპრილის მეორე ნახევარში. გათვალისწინებულია განიხილონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ურთიერთსაინტერესო, მათ შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების მომზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

7 აპრილი

## „პრავდის“ ფურცლებზე

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გორკის საავტომობილო ქარხნის მერვე სამსხმელო საამქროს უკანასკნელი ადგილი ეკავა შეჯიბრებაში: ყოველი მესამე მუშა აქ ვერ ასრულებდა დავალებას, წუნის წილი წარმოების საერთო მოცულობის ათ პროცენტს აღწევდა, — ნათქვამია მოწინავეში, — ახლა ეს საამქრო პირველ ადგილზეა. როგორ მიაღწიეს მოკლე დროში ესოდენ დიდ გარდაქმნებს? ამას ხელი შეუწყო საწარმოში გაჩაღებულმა მოძრაობამ დევიზით: „არც ერთი ჩამორჩენილი — ჩვენ გვერდით!“. უბნის უფროსის ვ. ტუმაკოვის წინადადებით ბრიგადები სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ. მოაგვარეს ეკონომიკური სწავლება, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირეს კოლექტივის კონკრეტულ ამოცანებს, კიდევ უფრო განავითარეს დამრიგებლობა. და აი შედეგიც: ახლა საამქროში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი.

თითოეულ რესპუბლიკასა და ოლქში არის მოწინავე კოლექტივები, რომლებიც წლობით მეთაურობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, დღენიადაგ ჩინებულ მაჩვენებლებს აღწევენ. მათ შორის საუკეთესოებს მიენიჭათ გარდამავალი წითელი დროშები, შეტანილი არიან სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე. მაგრამ მათ გვერდით ბევრი საწარმოა, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე ჩამორჩებიან ან საშუალოთა შორის არიან. მაგალითად, ფსკოვში კარგად არის ცნობილი ავტომატური სატელეფონო სადგურების ქარხანა, რომელსაც მწყობრი, რიტმული ორგანიზაცია ახასიათებს. სხვადასხვა საოლქო კრებასა და თათბირზე ხშირად აღუნიშნავთ იქ გამოყენებული ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვის სისტემის ეფექტიანობა. მაგრამ მოწინავე გამოცდილება ნელა ვრცელდება, მეზობლად მდებარე მთელ რიგ ქარხნებში, პროდუქციის ნახევარზე მეტს, როგორც წესი, თვის მესამე დეკადაში უშვებენ.

თუ საფუძვლიანად ვერკვევით ჩამორჩენის მიზეზებში, ადვილია ჩამორჩენილებისათვის კონკრეტული ყოველდღიური დახმარების გაწევა. ამ მხრივ საგულისხმოა ჩელიაბინსკის ოლქის საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც ერთმანეთს უცვლიან სპეციალისტთა ჯგუფებს ხანგრძლივი ვადით, ზოგჯერ რამდენიმე თვითაც. საუკეთესო ქარხნების ინჟინრები და ეკონომისტები პრაქტიკულად უჩვენებენ ჩამორჩენილებს, თუ როგორ უნდა მოაგვარონ საქმე.

საქმის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად არის დაყენებული კადრების სწავლება. იგივე როსტოვის ოლქში სპეციალური პროგრამებით გადამზადების კურსი პრაქტიკულად განვლო ყველა სამეურნეო მუშაკმა.

დამთავრდა წლის პირველი კვარტალი, უფრო ღრმად უნდა გავაანალიზოთ, თუ როგორ სრულდება გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, ნათქვამია დასასრულს. „არც ერთი ჩამორჩენილი — ჩვენ გვერდით! — დაე ეს მოწოდება იყოს ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრების მილიონობით მონაწილის მოქმედების სახელმძღვანელო!

ამავე ნომერში მკითხველი ნახავს სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მ. გორბაჩევის წერილს — **„იპატოვური მეთოდის ეფექტიანობა“**, ა. პიგოლკინისა და ნ. შელიუტის პოლიტიკურ საუბარს — **„მჭიდრო ერთიანობით“**, სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. ცარიოვის შენიშვნებს, სახალხო თეატრზე — **„სცენაზე არიან გატაცებულნი“**, ლ. თაიროვისა და ი. შატუნოვსკის სასამართლო ფელეტონს — **„ოქროს თითი“** და სხვა საგაზეთო მასალებს.

გაზეთის ფურცლებზე კვლავ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალიზმის ქვეყნების ამბებს, საერთაშორისო ცხოვრებას, სპორტულ ინფორმაციას.

ПРАВДА

## განვიხილავთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს

# პარტია — ჩვენი მესაჭე

[illegible]

[illegible]

## ყველას გულამდე და გონებამდე

პროექტის განმარტების მიზნით შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფები. პარტიის კალინინის რაიკომმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციასთან ერთად ჩაატარა თემატური კონფერენცია.

გააქტიურდნენ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი სხვადასხვა საზოგადოებრივი კომისიები, საბჭოები და განყოფილებებიც. პარტიის ლენინის რაიკომთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭო პროექტის განხილვასა და შესწავლასთან დაკავშირებით აწყობს სოციოლოგიურ კვლევას.

პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისეთ ფორმებთან ერთად, როგორიცაა ლექცია-მოხსენებები, აგიტატორის საუბრები და პოლიტინფორმაციები, ყველა რაიონში იმართება თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები შრომის გმირებთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან... კონსტიტუციის პროექტის განხილვას პოლიტიკური სწავლების სემინარებსა და წრეებში ეძლევა სპეციალური მეცადინეობანი.

**— როგორც ცნობილია, თბილისში დასასრულს უახლოვდება შრომითი კოლექტივების საერთო და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებები, რომლებზეც საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს განიხილავენ. როგორია ამ კრებების შინაარსი და მიმართულება?**

— დიახ, ასეთი კრებები უმრავლეს ორგანიზაციებში უკვე გაიმართა. ზოგან აქტივის გაფართოებული კრებებიც მოეწყო. პარტიის რაიკომები კონსტიტუციის პროექტის განხილვას სპეციალურ პლენუმებს უძღვნიან, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომები — სესიებს. კრებები იმართება აგრეთვე მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებშიც. ერთი სიტყვით, განხილვამ მოიცვა ყველა შრომითი კოლექტივი, ყველა ორგანიზაცია, ქალაქის ყველა მშრომელი.

მშრომელთა დიდი აქტიურობით წარიმართა კრებები გაერთიანება „ჩარხმშენებელში", აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სკოლებში, სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში... პარტიული ორგანიზაციები ილწვიან ისე მოაწყონ ღონისძიებანი, რომ განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას სწორად ესმოდეს ძირითადი კანონის თითოეული მუხლი და მას ცხოვრებაშიც მტკიცედ იცავდეს.

მინდა ერთ სასიამოვნო მოვლენაზეც მოგახსენოთ: სწორედ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება დაემთხვა თბილისისათვის საკავშირო გარდამავალი დროშის გადაცემას. ეს სიხარული ჩვენთან ერთად გულწრფელად გაიზიარეს საქართველოს დედაქალაქთან სოცი- [illegible] იკომებთან არსებულ სპეციალურ ჯგუფებს. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან მოქმედებს კონსტიტუციის პროექტის განხილვის გამო გამოთქმული წინადადებების აღრიცხვისა და განზოგადების კომისია, სადაც თავს იყრის ქალაქის პარტიის რაიკომებიდან მოსული აღრიცხული და დაჯამებული წინადადებები. კომისიის წევრები ყოველ სამ დღეში ერთხელ ვიკრიბებით, განვიხილავთ ამ წინადადებებს და საკონსტიტუციო კომისიას გადავცემთ ხოლმე. აგრეთვე განხილვის დროს გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს ზომების მისაღებად სათანადო სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს ვუგზავნით.

**— როგორ უკავშირდება კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდა და განხილვა შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს?**

— ამის თაობაზე ცოტა რამ უკვე ვთქვით. მაგალითად ის, რომ, კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებს რომ განიხილავენ, ჩვენი მშრომელები მსჯელობენ კიდეც პრობლემებზე, რომელთა დროული გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის ძირითადი კანონების განუხრელ განხორციელებას. შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანებიდან განსაკუთრებით — სჯა-ბაასია პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაზე, ადამიანთა პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საზრიან და ყაირათიან მუშაობაზე, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებაზე და სხვ.

ამასთან, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ეს დღეები ნამდვილი დამკვრელური შრომის, ნოვატორობის, ახალ ინიციატივათა დაბადების დღეებია. ჩვენი ქალაქის პირველმაისელთა და ქუთაისელ კომუნისტთა ინიციატივა — **არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო!** — თბილისში უკვე პრაქტიკულად განხორციელდა. და ეს მიღწეულია როგორც პროდუქციის წარმოების, ისე მისი რეალიზაციის მხრივ. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება 102 პროცენტით შესრულდა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 10,5 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამოცანად დავისახეთ, მარტო საწარმოები კი არა, ქალაქში არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი საამქრო და უბანი.

ახლა მთელი ჩვენი პროპაგანდისტული ძალებისა და საშუალებების, მათ შორის საქალაქო პრესის, კიდევ უფრო გააქტიურება გვჭირდება, რომ უნარიანად გამოვიყენოთ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტით გამოწვეული ადამიანთა ამაღლებული განწყობილება.

## ძმობით ნაშენი

### ჩანაწერები ღია პარტიული კრებიდან

**კრების** დაწყებამდე ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის დამამზადებელი საამქროს წინ მუშები შეიკრიბნენ, ზოგიერთ მათგანს გაზეთი გაეშალა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის ცალკეული მუხლების ირგვლივ საკუთარ აზრს გამოთქვამს... მსჯელობა 31-ე მუხლს შეეხებოდა:

**„...სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანაბარი უფლებებით..."**

— ეს არის ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, — ქართულად ამბობს სომეხი ე. აკოპიანი, — ეს არის ხალხთა ძმობა.

ე. აკოპიანი ქარხნის ვეტერანი მუშაა, მას ბევრი აქვს გაკეთებული საზოგადოებისათვის, მშობლიური საწარმოს აღმავლობისათვის. ბუნებრივია, ამიტომაც სათქმელიც ბევრი დაუგროვდა და სიამოვნებით უზიარებს მას თანამოსაქმეთ.

— საამქროს დიდი წარმატებები, — ამბობს იგი, — ინტერნაციონალური შრომის შედეგია. აი მაგალითად, ჩვენს მეგობარზე, საპატიო ნიშნის ორდენოსან ვალერი უპენიკზე ვთქვათ. მან ქარხანას ოსტატების მთელი თაობა აღუზარდა. ერთსულოვნებამ, ძმურმა სულისკვეთებამ განაპირობა, რომ ჩვენი დამამზადებელი საამქრო ახლა ივნისის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

ამასობაში კრებაც დაიწყო...

**ვ. უპენიკი — საამქრო პარტიული ორგანიზაციის მდივანი:** საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი ნაყოფიერ ნიადაგზეა აღმოცენებული. იგი შედგენილია ჩვენი ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის შესაბამისად და მასში ნათლად არის მოცემული არა მარტო სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი მართვის სტრუქტურა, არამედ სახელმწიფოს ყველა ორგანოს, თითოეული მოქალაქის მოვალეობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

აბა, ერთხელ კიდევ წავიკითხოთ პროექტის 37-ე მუხლი: „საქართველოს სსრ მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით". ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ბედნიერი ვართ, რომ ახალი კონსტიტუცია უფლებას გვანიჭებს მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოს მართვაში, ამავე დროს ვალდებული ვართ შრომითს უბნებზე და საზოგადოებაში პირნათლად ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობებს.

**ლ. ქისტაური — საამქროს უფროსი:** — ჩემი აზრით, 58-ე მუხლს, სადაც ლაპარაკია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაზე, ადამიანთა პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, კარგი იქნება, თუ დაემატება წინადადება „საზოგადოებრივი შრომისათვის თავის ამრიდებლები ისჯებიან კანონის ძალით".

საერთოდ, როგორც აქ კრების სხვა მონაწილეებმაც თქვეს, ჩვენი რესპუბლიკა ძმობით ნაშენი რესპუბლიკაა. და არა მარტო საქართველო, მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა ძმობისა და მეგობრობის შესანიშნავი ნიმუშია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კი ის ძალაა, ის დიდი მშენებელია, რომელიც აღუღაბებს სხვადასხვა ერების ძმობასა და მეგობრობას. ამიტომ, განსაკუთრებით ვიწონებ კონსტიტუციის პროექტის იმ სტრიქონებს, რომლებშიც ჩვენი პარტიის, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელ ძალაზეა ლაპარაკი.

**ზ. ბერიძე — საამქრო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი:** — კონსტიტუციით დაკანონებულია, რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, უფლება გვაქვს ვმონაწილეობდეთ ქვეყნის მართვაში. ამაზე მადლობის მეტი რა გვეთქმის. ერთსულოვნად ვიწონებთ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტს. ამასთან ჩვენი სურვილია, 51-ე მუხლს დაემატოს წინადადება, რომ ყურადღება მიექცეს ახალდაქორწინებულთა და მრავალშვილიანი ოჯახების ბინით რიგგარეშე დაკმაყოფილებას. შარშან ჩვენთან რა კარგი საქმე გაკეთდა — სწორედ რიგგარეშე მისცეს ბინა ახალდაქორწინებულ მაყვალა ღილეყვას. აი წელს მთავრდება 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება და, თუ გავითვალისწინებთ ამას, კარგი იქნება.

**მერი დარჩია — დამხარისხებელი:** — კონსტიტუციის პროექტის 38-ე მუხლში ლაპარაკია შრომისა და პროფესიის არჩევის უფლებაზე. ჩვენი საწარმოს მაგალითზე შემიძლია განვაცხადო, რომ ეს განხორციელებული უფლებაა. მაგალითად, ახალგაზრდა კომუნისტებმა სამმა ალექსანდრემ — ანდრიაძემ, მარტიროსიანმა და სულაბერიძემ, აგრეთვე ათობით სხვამ, თავიანთი ოსტატი მასწავლებლებისაგან შესანიშნავი მუშური წრთობა მიიღეს და კვალიფიკაციაც აიმაღლეს, რაც ჩვენი ხელმძღვანელობის შეგირდებისადმი დიდი ყურადღებისა და მუშათა კლასის მაღალი შეგნების შედეგია.

ღია პარტიულ კრებაზე სხვა წინადადებებიც გამოითქვა. მაგრამ ახალი კონსტიტუციის პროექტის ცალკეულ მუხლებზე რომ ლაპარაკობდნენ, ამასთან კრების მონაწილენი ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ ქარხნისა და საამქროს წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს, მეათე ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის დავალებების შესრულებაში კომუნისტების, შრომითი კოლექტივის ყველა წევრის როლსა და პასუხისმგებლობას.

**მ. გორგილაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

> **საბჭოთა** საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.
>
> მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.
>
> ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.
>
> საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისევე როგორც მთელს რესპუბლიკაში, საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტს გულდასმით გაეცნენ თბილისის საცდელ ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოშიც". აი საწარმოს წითელ კუთხეში მოსული კომუნისტები (მარცხნიდან) ელექტრომემონტაჟეები ქ. მათიაშვილი და ვ. ჩარგეიშვილი, ამწყობი ზეინკალი შ. ხუციშვილი, ინჟინერი მ. დოლიძე ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებსა და აზრებს პროექტის გამო.
გ. გოგოხიას ფოტო.

## კომუნისტის ასპარეზი

**პარტიული** ორგანიზაციის ბიუროს წევრები, რომლებიც პარტიულ კრებაზე ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის მოსამზადებლად შევიკრიბენით, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია კომუნისტებს. სხვაგვარად ვერც აღიქვამ პროექტში ჩაწერილ სიტყვებს — „ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში". ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების მოწინავე ადამიანთაგან ნებაყოფლობით შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია, უკვე კონსტიტუციურად დაკანონებული, ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა.

თავისი ასპარეზი აქვს ჩვენი სოფლის კომუნისტებსაც. პროპაგანდისტები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები ჭეშმარიტი პატრიოტული პათოსით ეწევიან მშრომელთა შორის მასობრივ ახსნა-განმარტებით მუშაობას — საჯაროდ განიხილავენ პროექტის ცალკეულ მუხლებს. მთელი ეს პროპაგანდა კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი კომუნისტების, ყველა მშრომელის პრაქტიკულ ამოცანებთან.

აღზევებული სიცოცხლე — ასე შეიძლება დაახასიათოთ დღევანდელი სოფელი. თითქმის ყველა საგაზაფხულო სამუშაოს მოვრჩით 200 ჰექტარზე გადაჭიმულ ზვრებში, მასობრივად გაჩაღდა მარცვლეულისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვა, ყოველდღიურად იზრდება წველადობა მეცხოველეობის ფერმებში. ყოველივე ამის შემოქმედნი სოფლის კომუნისტები არიან, რომლებსაც ძალას მატებს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ქარტიის პოლიტიკური ასპექტი.

**ტ. წაქაძე,**
ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

## მოვალეობის შეგნებით

**ჩვენი** რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმმართველ როლს. პარტიის ძალა და ძლიერება კი მისი ძირეული რგოლების — პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებას გულისხმობს.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს პარტიულ კრებაზე, შემდეგ კი პარტიის რაიკომის ბიუროზე ვიმსჯელეთ იმ კომუნისტების შესახებ, რომლებიც პარტიულ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინას არღვევდნენ. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც პარტიის წევრობის ღირსი არ იყვნენ, გავრიცხეთ პარტიის რიგებიდან. რაოდენ სასიხარულოა, რომ ამჟამად დისციპლინის დამრღვევნი აღარ გვყავს. ჩვენი კომუნისტები, რომელთა რიცხვი 180-ზე მეტია, საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში არიან. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სანიმუშო მაგალითს იძლევიან კომუნისტი მექანიზატორები პეტრე აბულაძე, გიორგი გიქოშვილი, მეცხოველეობის ფერმის მუშაკები გიორგი მერაბიშვილი, ვანო ალლემაშვილი და სხვები.

წლეულს ჩვენს კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. მოკლე აგროვადებში დავამთავრეთ ხეხილის ბაღების გასხვლა, ძირების შემობარვა, შემოღობვა, მინერალური ზეთით ჩამობანვა, სახნავე შვრიის თესვა და სხვა ოპერაციები. ორგანიზებულად დავიწყეთ კარტოფილის, სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვა.

ჩვენი კომუნისტები, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, აცხადებენ, რომ სანიმუშონი იქნებიან მისი ყოველი მუხლის მოთხოვნათა შესრულებაში, კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში.

**შ. ბალახაშვილი,**
ადიგენის რაიონის სოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

## ამომრჩეველთა განაწესები — ყურადღების ცენტრში

**გაიმართა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები და დეპუტატები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, დიდ ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა განაწესებს, რომლებიც სახელმწიფო მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის, საბჭოებისა და მათი ორგანოების საქმიანობაზე ამომრჩეველთა გავლენის ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.

ახალციხისა და ზუგდიდის რაიონებში ამომრჩეველთა მთელი რიგი განაწესების რეალიზაციის შედეგად გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, უფრო კეთილმოწყობილი გახდა დასახლებული პუნქტები და გზები, შეკეთდა და აშენდა ხიდები, დაიწყო ახალი სკოლების, ბაგა-ბაღების, კლუბების მშენებლობა და ა. შ.

ამასთან, როგორც სხდომაზე აღნიშნეს, ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო, მუდმივი კომისიები, განყოფილებები და სამმართველოები, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამომრჩეველთა განაწესებს, არ სწავლობენ და არ განაზოგადებენ ასეთი განაწესების რეალიზაციისათვის მუშაობის მოწინავე გამოცდილებას. არის შემთხვევები, როცა უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან განაწესების დროულ განხილვასა და რეალიზაციას, საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე არ ისმენენ განაწესების უშუალო შემსრულებელთა ინფორმაციებს, სათანადოდ არ იყენებენ განაწესების შესრულებისადმი კონტროლის ისეთ ეფექტიან ფორმას, როგორიც არის დეპუტატის შეკითხვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ადგილობრივი საბჭოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ განაწესები, რომლებიც სოციალისტური დემოკრატიის გამოვლინების, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის განვითარების ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმაა, მუდამ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ახალციხისა და ზუგდიდის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა განაწესების შესრულება მიიჩნიონ აღმასკომის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, პერიოდულად შეისწავლონ და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ მათი შესრულების მიმდინარეობის საკითხები, სისტემატურად მიაწოდონ ამის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას, ქმედითი ღონისძიებებს მიმართონ განაწესების განხილვისა და შესრულების საქმეში საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაუმჯობესებისათვის, გაზარდონ მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა და აქტიურად ჩააბან განაწესების განხორციელებაში მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების დროს განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 24 თებერვლის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებებით, სსრ კავშირის კონსტიტუციით და უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები. (საქინფორმი).

## მთავრობის ჯილდოების გადაცემა

**საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის ორდენებისა და მედლების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელების გადაცემა მეცნიერების, კულტურის მოღვაწეებისათვის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკებისათვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის. ჯილდოები გადაეცათ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის, 1977 წელს მარცვლის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოვლენილი შრომითი მამაცობისათვის, აქტიური მონაწილეობისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლისთავთან და სხვა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

დაჯილდოების შესახებ ბრძანებულებები წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა დაჯილდოებულებს და იმათ, ვისაც საპატიო წოდებები მიენიჭათ, გადასცა შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის", „შრომითი წარჩინებისათვის", „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის", აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული ინჟინრის, დამსახურებული ექიმის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული ჟურნალისტის, დამსახურებული ეკონომისტის, კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის, დამსახურებული ბუღალტრის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე — პოლიტსამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ნ. ჩებიკინი, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

ამხანაგმა პ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს და იმათ, ვისაც საპატიო წოდებები მიენიჭათ, შეეხო რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებს, აღნიშნა, რომ ისინი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მშრომელთა მიერ ახალი კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების მტკიცედ დაცვა ახალი წარმატებების საწინდარი იქნება კომუნიზმის მშენებლობაში.
(საქინფორმი).

### კომუნისტთა ფიქრები და საქმეები

#### რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

## აქტიურობა — სათავე ძლიერებისა

> **ყოველდღიურად** „კომუნისტის" სარედაქციო ფოსტას ასობით სხვა წერილთან და კორესპონდენციასთან ერთად თან მოჰყვება მშრომელი კაცის ფიქრები და გულისნადები ჩვენი რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამო. მათი წერილობითი მოსაზრება პროექტის ყველა თავს, ყველა მუხლს, თითქმის ყველა სტრიქონს ეხება. მაგრამ ამჯერად გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ზოგიერთ წერილს, რომლებშიც ჩვენი პარტიის როლზე, მათ ძირეულ რგოლებზე და კომუნისტებზეა ლაპარაკი.

— ნახევარი წელიწადია, რაც მივიღეთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და დღესაც მისი შთაბეჭდილებითა და შთაგონებით ვშრომობთ და ვცხოვრობთ, — გვწერს ორჯონიკიძის რაიონიდან კომუნისტი ი. ხაჩიძე. — ახლა კიდევ მეორე სიხარული დაგვემატა: იქმნება რესპუბლიკათა კონსტიტუციები. მათ შორისაა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გაცისკროვნებულია ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის ელვარე სხივებით და სულ მალე — 14 აპრილს ამობრწყინდება რესპუბლიკის ცის კაბადონზე.

საბჭოთა საქართველოს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან, — განაგრძობს იგი, — ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ეს თითქმის რვა ხუთწლედია, რომელთა მანძილზე ჩვენმა რესპუბლიკამ არნახულ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა გაბედულმა ღონისძიებებმა, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გამართულმა უკომპრომისო ბრძოლამ მეტად კეთილსასურველი შედეგები მოგვიტანა. მე, როგორც პრესის მუშაკსა და პოლიტინფორმატორთა დარგობრივი სემინარის ხელმძღვანელს, მქონდა გასაუბრება პოლიტინფორმატორთა მრავალრიცხოვან ჯგუფთან. ყველანი განსაკუთრებული მონდომებით ეცნობიან მშრომელებს კონსტიტუციის პროექტს და რაზმავენ მათ დიდი საგაზაფხულო საქმეებისათვის.

კონსტიტუციის მიღება ხომ გაზაფხულის მზიან დღეებს ემთხვევა!

ამიერკავკასიის გზათა სამმართველოდან კომუნისტი **გ. კასრაძე,** მთლიანად იწონებს რა პროექტის მე-6 მუხლს, სადაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ როლზეა ლაპარაკი, წინადადებას აყენებს დაემატოს შემდეგი სიტყვები: „საქართველოს კომპარტია, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენელი რაზმი, თავის მოღვაწეობაში განუხრელად ასრულებს მის პოლიტიკასა და პრაქტიკულ ხაზს".

— გულდასმით წავიკითხე ჩემი რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი, — გვწერს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეყალიბე **ა. ფერაძე,** — გამაყობს, რომ კომუნისტი ვარ და პირველ რიგში სწორედ კომუნისტებს — პარტიის რიგით ჯარისკაცებს გვევალება განუხრელად შევასრულოთ კონსტიტუციის თითოეული მუხლი.

ამავე ქარხნიდან № 1 საამქროს პარტბიუროს მდივანი **ზ. ბუცხრიკიძე** გადმოგვცემს შრომითი კოლექტივის განწყობილებას, რომ ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით დიდი გადამეტებით შეასრულებენ როგორც გეგმებს, ისე ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

კომუნისტებს თავის ახალგაზრდულ ხმებს უერთებენ კომკავშირელები:

— ძალიან მომეწონა კონსტიტუციის პროექტი პირველიდან ბოლო სტრიქონამდე, — წერს კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **მანანა ბუაჩიძე** ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნალიდან. — განსაკუთრებით მომეწონა მე-7 მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სრულიად ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი თავისი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.

კომკავშირის, როგორც პარტიის საიმედო თანაშემწის, როლის შესახებ გვწერენ ახალგაზრდები ქუთაისიდან, რუსთავიდან, ქობულეთიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის გამო გამოწვეულ შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობაზე, თავიანთ კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების ახალ გაქანებაზე, სამრეწველო საწარმოებში ეფექტიანი და ხარისხიანი მუშაობის კონკრეტულ ფაქტებზე, ფართოდ გაჩაღებულ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში კომუნისტთა აქტიურ მონაწილეობაზე იტყობინება ბევრი წერილი, კორესპონდენცია, ჩანახატი თუ ინფორმაცია. აი ზოგიერთი მათგანის ავტორებიც — კომუნისტები: **ს. აბესაძე** (წიათურიდან), **ი. კობაიძე, გ. თხელიძე** (რუსთავიდან), **ვ. ცხოსელი** (საჩხერიდან), **გ. მირაშვილი, გ. შაიშმელაშვილი** (სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროდან), **მ. ნანიკაშვილი** (ტყიბულიდან), **ა. მელაძე, მ. ზარნაძე, გ. ხვედელიძე** (ზესტაფონიდან), **ბ. ნიქაცაძე, ა. ლურსმანაშვილი** (ორჯონიკიძის რაიონიდან), **ნ. ალავიძე, ა. კანთელაძე, ვ. მახაშვილი** (ამბროლაურიდან), **ჯ. მეშველიანი, კ. მუხელიანი** (ლენტეხიდან) და მრავალი სხვა.

**პარტია თავისი წევრების აქტიურობით არის ძლიერი — ასეთია კომუნისტთა ამ წერილების საერთო აზრი!**

# საერთაშორისო ცხოვრება

● საქდესი იტყობინება

სოციალიზმის ქვეყნებში

## მოთხრობა დიდ გმირობაზე

### „მცირე მიწა“ იუგოსლავიის პრესის ფურცლებზე

ბელგრადი, 6 აპრილი. (საქდესი). იუგოსლავიის გაზეთმა „ვიესნიკმა“ დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონების „მცირე მიწის“ გამოქვეყნება.

წინასიტყვაობაში „ვიესნიკი“ წერს, რომ „მცირე მიწის“ დაცვა კავკასიისათვის ერთ-ერთი უძნელესი ბრძოლა იყო. ლ. ი. ბრეჟნევმა, ხაზს უსვამს გაზეთი, თავიდან ბოლომდე განვლო დიდი სამამულო ომის გზები. იგი აქტიურად მონაწილეობდა კავკასიისათვის ბრძოლაში მის ყველა ეტაპზე. 1943 წელს ლ. ი. ბრეჟნევი მე-18 არმიისა და შავი ზღვის ფლოტის ნაწილების დესანტის დარტყმით ნოვოროსიისკის განთავისუფლების ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

„მცირე მიწისათვის“ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პოლკოვნიკმა ლ. ი. ბრეჟნევმა. იგი მუდამ მებრძოლთა შორის იყო, ეწეოდა დიდ მუშაობას მათი საბრძოლო და მორალური სულისკვეთების ამაღლებისათვის. თავის მემუარებში ლ. ი. ბრეჟნევი ვრცლად გვიამბობს იმ დღეების ბობოქარი ამბების, დრამატული ეპიზოდების, საბჭოთა ჯარისკაცების გმირობის შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევის მემუარები დიდი წვლილი იყო საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავის დღესასწაულობაში და ამ ღირსშესანიშნავ თარიღს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, წერს „ვიესნიკი“.

ვენის მოლაპარაკებაზე

## დაუსაბუთებელი პოზიცია

ვენა, 6 აპრილი. (საქდესის კორ.). დღეს ვენის ჰოფბურგის სასახლეში გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი პლენარული სხდომა. სხდომაზე გამოვიდა ინგლისის დელეგაციის მეთაური ელჩი ე. ბოლანდი. მისი გამოსვლა, როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აღინიშნა, არ შეიცავდა რაიმე ახალ მომენტს. იგი უარყოფდა განზრახული შემცირების რაიონში ორივე სამხედრო დაჯგუფების სახმელეთო ძალების დაახლოებითი თანასწორობის არსებობის ფაქტს.

ამგვარი პოზიციის მიზანია როგორმე დაასაბუთონ დასავლეთის არარეალისტური მოთხოვნები, რომ გაცილებით უფრო მეტად შემცირდეს სოციალისტური ქვეყნების ჯარები, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში.

ორი კვირის წინათ ორივე მხარემ გაცვალა დამატებითი ციფრობრივი მონაცემები ამ რაიონში თავიანთი ჯარების შესახებ.

სოციალისტურ ქვეყნებს იმედი აქვთ, რომ ამ მონაცემების განხილვა დაეხმარება დასავლეთს, თუ იგი გამოიჩენს კეთილ ნებას, გამოასწოროს შემცირების რაიონში ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ჯარების რიცხვის მის მიერ ხელოვნურად გადიდებული შეფასებანი.

ახლო აღმოსავლეთი

## სეპარატული გარიგების გამო

### მოითხოვენ ახალ დათმობებს არაბი ხალხების ინტერესების საზიანოდ

ვაშინგტონი, 6 აპრილი. (საქდესი). როგორც პრესა წერს, ეგვიპტის პრეზიდენტი დათანხმდა მაისის დამლევს ეწვიოს შეერთებულ შტატებს. ამავე დროს აქ იქნება ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბეგინიც. ამრიგად, ვაშინგტონი აპირებს კიდევ ერთხელ სცადოს როგორმე დააახლოოს კაიროსა და თელ-ავივის პოზიციები ჩიხში მოქცეული სეპარატული მოლაპარაკების მიმართ და ხელი შეუწყოს, რომ მათ რაც შეიძლება მალე დადონ ორმხრივი შეთანხმება.

მოვლენათა ვითარება მოწმობს, რომ სადათი ამისათვის მზად არის. კაიროში გამართულ პრესკონფერენციაზე მან დაადასტურა თავისი მისწრაფება „საქმე ბოლომდე მიიყვანოს“, ე. ი. დადოს სეპარატული გარიგება ისრაელთან.

პოლიტიკურ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ სადათისაგან მოითხოვენ ახალ დათმობებს არაბი ხალხების ინტერესების საზიანოდ. ლონდონის „დეილი ტელეგრაფი“ წერს, რომ ამჟამად ვაშინგტონი, თელ-ავივი და კაირო ამუშავებენ საიდუმლო ფორმულას, რომლის შესაბამისად ეგვიპტემ უნდა მოახდინოს მდინარე იორდანის ოკუპირებული დასავლეთი ნაპირიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მოთხოვნის „მოდერნიზაცია“, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, — ხელი აიღოს ამ მოთხოვნაზე და დათანხმდეს აღნიშნულ რაიონში ისრაელის სამხედრო ყოფნაზე. ამის სანაცვლოდ, როგორც ჩანს, სადათი იმედოვნებს თელ-ავივს რამდენადმე შეარბილებინოს პოზიცია სინის ნახევარკუნძულის ბედის მიმართ.

ამავე დროს „ვაშინგტონ პოსტისათვის“ ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინის მიერ მიცემული ინტერვიუ, რომელშიც მან გაიმეორა თელ-ავივის ცნობილი პრეტენზიები მეზობელი არაბული ქვეყნების მიმართ, მოწმობს, რომ ისრაელის პოზიციაში არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილება, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ ხელისუფლების სათავეში უდგას ულტრამემარჯვენე ბლოკის „ლიკუდის“ ახლანდელი მთავრობა.

## ეთიოპიის სააგენტოს ცნობა

ადის-აბება, 6 აპრილი. (საქდესი). როგორც ეთიოპიის ახალი ამბების სააგენტო იუწყება, ეთიოპიის შეიარაღებულმა ძალებმა და სახალხო მილიციის რაზმებმა ჩაშალეს სომალის რეგულარული არმიის ქვედანაყოფების ცდები ელოთ ქვეყნის სამხრეთის სიდამოს პროვინციაში მდებარე ქალაქი ნეგელე. ბრძოლის დროს ხელთ იგდეს დიდძალი ალაფი.

ოფიციალურ განცხადებებში, რომლებიც აქამდე გამოქვეყნდა ადის-აბებაში, აღნიშნული იყო, რომ სომალი ოგადენში დამარცხების შემდეგ არ წყვეტს შეიარაღებულ პროვოკაციებს ეთიოპიის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში.

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“

## ავსტრალია ასეთია მათი ხვედრი

„ავსტრალიის საზოგადოებაში ქალები მუდმივი დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან. მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ძალიან დაბალია. და ეს მდგომარეობა აქ ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ“.

ციტატა ამოღებულია სამეფო კომისიის ოფიციალური მოხსენებიდან, რომელიც პარლამენტის დავალებით სწავლობდა ავსტრალიაში ქალთა მდგომარეობას. ამ ვრცელ დოკუმენტში ორი ათას გვერდზე მოყვანილია მრავალი ფაქტი თანამედროვე ავსტრალიის საზოგადოებაში ქალთა არათანასწორუფლებიანობის შესახებ.

აი ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი. უმცროსი და საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის ბიჭები და გოგონები დაახლოებით თანაბარნი არიან. მაგრამ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის ეს უკანასკნელნი მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენენ. საერთო მომზადების დაბალი დონის გამო ქალიშვილები ვაჟ თანატოლებთან შედარებით უფრო დიდ სიძნელეებს განიცდიან სამუშაოზე მოწყობისას: მომუშავე ქალთა 90 პროცენტზე მეტი მუშაობს „ტრადიციულად ქალთა“ თანამდებობებზე: მემანქანეებად, მედდებად, კანცელარიის მუშაკებად, მომსახურების სფეროში. ავსტრალიის უნივერსიტეტების ათას პროფესორ მამაკაცზე მხოლოდ ცხრამეტი პროფესორი ქალი მოდის. უმაღლეს სასწავლებელთა უფროს მასწავლებელთა შორის ქალები ათ პროცენტზე ნაკლებია.

ავსტრალიელმა ქალებმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა მოიპოვეს 1894 წელს ხმის მიცემის და პარლამენტში არჩევის უფლება. მაგრამ ამ უფლებით სარგებლობა მათ მხოლოდ ორმოცდაათი წლის შემდეგ შეძლეს. ქალის სახელი დეპუტატთა სიაში პირველად მხოლოდ 1943 წელს გამოჩნდა. მას შემდეგ წარმომადგენელთა პალატაში მხოლოდ ოთხმა ქალმა შეაღწია. რამდენადმე მეტი იყო მათი წარმომადგენელი სენატში.

ეს მოვლენა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტარების მეტი წილი ყოფილი იურისტები და პროფკავშირული მოღვაწეები არიან. ეს ორივე პროფესია ავსტრალიაში „არაქალურ“ პროფესიად ითვლება, უზენაესი სასამართლოს წევრთა შორის არც ერთი ქალი არ არის. ისინი არ არიან არც ავსტრალიის ტრედიუნიონთა საბჭოს 17 წევრს შორის, თუმცა ქალები ქვეყნის მუშახელის 35 პროცენტს შეადგენენ.

ასეთი ფაქტებითა და ციფრებით ბათილდება დასავლელ პოლიტიკოსთა საყვარელი თეზისი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „თანასწორუფლებიანობის“ შესახებ. (აას).

ფოტოობიექტივი ამხილებს




იტალია

იტალიელი მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან თავიანთი სოციალური უფლებების დასაცავად. ვენეციის პროვინციის საფეიქრო და ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა მოაწყეს მრავალათასიანი დემონსტრაცია. მისმა მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს და მკაცრი პროტესტი განაცხადეს კომპანია „მონტეფიბრეს“ ადმინისტრაციის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ თავის საწარმოებში მოაწყოს მუშათა მასობრივი დათხოვნები.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

საქდესის ფოტო.

მოკლედ

## ყოველი მხრიდან

**გამოსცა „ელაიდ პაბლიშერზმა“**

● დელი. „ახალი საბჭოთა კონსტიტუცია“ — ასეთი სათაურით ინდოეთის გამომცემლობა „ელაიდ პაბლიშერზმა“ გამოუშვა ამ დოკუმენტისადმი მიძღვნილი მასალების კრებული.

კრებულში, საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ სტატიებთან ერთად, რომლებიც დაწერილია ქვეყნის წამყვანი იურისტების, პარლამენტის წევრების, პოლიტიკური მოღვაწეების მიერ, მოთავსებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის სრული ტექსტი. ეს საშუალებას მისცემს ინდოეთის საზოგადოებრიობას უშუალოდ გაეცნოს საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონის ტექსტს.

**ინფლაცია გრძელდება**

● ვაშინგტონი. ინფლაცია 1978 წელსაც „სულის მოთქმის“ საშუალებას არ აძლევს ამერიკელებს. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, მომავალ თვეებში კვების პროდუქტების ფასების ზრდა 6-8 პროცენტს შეადგენს.

**იხილავენ აქტუალურ საკითხებს**

● ტრიპოლი. ლიბიაში გრძელდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — სახალხო კრებების მორიგი სესიების მუშაობა. სესიებზე იხილავენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, როგორიცაა კერძო საკუთრების შეზღუდვა და ეკონომიკის საწარმოო სექტორის განმტკიცება, სავალდებულო საყოველთაო სამხედრო წვრთნის შემოღება.

პრესის კომენტატორები

## საშიში კურსი

### შვედეთის კომუნისტების გაზეთ „ნორშენსფლამანის“ სარედაქციო სტატია

სტოკჰოლმი, 6 აპრილი. (საქდესი). მუშათა პარტიის — შვედეთის კომუნისტების გაზეთ „ნორშენსფლამანი“ სარედაქციო სტატიაში ხაზს უსვამს, რომ ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობის კურსი უაღრესად საშიშია მშვიდობის საქმისათვის, მთელი კაცობრიობის მომავლისათვის. ამჟამად ცხადი ხდება, წერს გაზეთი, რომ პეკინის ახლანდელი ხელმძღვანელობა სულ უფრო მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს ყველაზე რეაქციულ ძალებთან. საქმე ეხება არა მარტო ჩილეს ფაშისტურ რეჟიმს, პეკინი ცდილობს ასეთივე ურთიერთობა იქონიოს სამხრეთ აფრიკის რასისტებთან, ისრაელის სიონისტებთან, დასავლეთ გერმანიის რევანშისტებთან. პეკინში უაღრესად გულთბილად ხვდებიან პირწავარდნილ რეაქციონერებს, ყოფილ ჰიტლერელებს.

მაოისტები ცდილობენ მთელი ეს მოქმედება შენიღბონ ეგრეთ წოდებული „მაო ძე დუნის რევოლუციური საგარეო პოლიტიკური გეზით“, რასაც მოწმობს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების უკანასკნელი სესიის დოკუმენტები. რას წარმოადგენს ეს „რევოლუციური გეზი“? უწინარეს ყოვლისა, ეს არის დიდი ხნის, ხოლო ამჟამად განსაკუთრებით გაძლიერებული კამპანია, რომელიც მიმართულია მეზობელი სოციალისტური სახელმწიფოების, მათ შორის საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაოისტების სურვილია ამ ქვეყნების ტერიტორიის ნაწილი შეიტანონ მომავალი „დიდი და ძლევამოსილი ჩინეთის“ ფარგლებში. მაოისტური პროპაგანდა, აღნიშნავს გაზეთი ყოველდღე უჩიჩინებს ამ აზრს ჩინელებს.

ამგვარი ბოდვითი გეგმების მიღწევისათვის, წერს შემდეგ „ნორშენსფლამანი“, პეკინი სულ უფრო მეტ მოკავშირეს იძენს იმპერიალიზმის ბანაკში. ნატოს აგრესიული ბლოკის მესვეურები მზად არიან მიაწოდონ ჩინეთს ყველაზე თანამედროვე შიმუშის იარაღი თვით მასობრივი მოსპობის იარაღიც კი. ნატოში აშკარად იმედი აქვთ, რომ ეს იარაღი მიმართული იქნება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ნატოს ხელმძღვანელობას ყოველგვარი საფუძველი აქვს კმაყოფილი იყოს პეკინის ახლანდელი ლიდერების მოქმედებით. ნატოს უმაღლეს წრეებში მაოისტურ ჩინეთს უწოდებენ „ნატოს მე-16 წევრს“, მას განკუთვნილი აქვს ამ რეაქციული ორგანიზაციის ერთგვარი „შორეული აღმოსავლეთის ფლანგის“ როლი.

პეკინის ხელმძღვანელობა ყოველნაირად უწევს წინააღმდეგობას მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, აბსოლუტურად არავითარ ინტერესს არ იჩენს სოციალიზმის მშენებელ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისადმი. შემთხვევითი როდია, რომ ჩინეთი უარყოფს ყველა საბჭოთა გონივრულ ინიციატივას, რომლის მიზანია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის აღდგენა. კერძოდ, მაოისტურმა ხელმძღვანელობამ უარყო საბჭოთა წინადადებანი ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების, თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განახლების შესახებ. პეკინმა უარყო აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელი მიმართვა თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ურთიერთობის აღდგენის შესახებ, რაც საბჭოთა და ჩინელი ხალხების ინტერესებს შეესაბამება.

სავსებით ნათელია, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, რომ ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოდის როგორც უაღრესად საშიში ფაქტორი, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმეს, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის მომავალს.

## პრეტორიის მმართველთა გეგმა

მაპუტუ. (საქდესი). რომ შეინარჩუნონ აპარტეიდის სისტემა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის პირობებში, პრეტორიის მმართველებმა შეიმუშავეს „გადარჩენის პრობლემათა ეროვნული ინსტიტუტის“ შექმნის გეგმა. ამ თითქოსდა მეცნიერული დაწესებულების ამოცანა იქნება ის, რომ თეთრკანიანმა უმცირესობამ შეისწავლოს „ტოტალური“ ომის წარმოება აფრიკელთა წინააღმდეგ, რომლებიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ესწრაფვიან. გათვალისწინებულია ინსტიტუტის შტატში ჩაირიცხონ არმიის ოფიცრები, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ანგარიშის გასწორების ფაშისტურ მეთოდებს შეისწავლიან ჯარის ქვეგანაყოფები, და რასისტთა გასამხედროებული სამოქალაქო რაზმები.

## ინდონეზიური მოზაიკა

### ოპერაცია „წესრიგი“

უკანონო გადასახადებმა, გამომძალველობამ, დიდმა დატაცებებმა მთავრობის მრავალ ინსტანციაში, რაც ინდონეზიის საზოგადოებრიობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს, მთავრობა აიძულა დაეწყო განსაკუთრებით სახელგატეხილი მოხელეებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდა.

პირველ ღონისძიებებს, რომლებიც კოდური დასახელების ოპერაციის „წესრიგის“ ფარგლებში მოეწყო, სრულიად მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. პრესის მონაცემებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი რგოლი უნდა იყოს შემოწმებისა და კონტროლის სისტემაში, ათას ხუთასამდე მოსამსახურე სხვადასხვა ფორმის კორუფციისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მონაწილე აღმოჩნდა. სკანდალმა ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ სასამართლო ორგანოები იძულებული გახდნენ გამოძიება დაეწყოთ სამინისტროს ორმოცდათექვსმეტი დიდი თანამდებობის პირის საქმეზე. მათ ბრალად სდებენ სახელმწიფო სახსრების დატაცებას, მნიშვნელოვანი ფულადი თანხის უკანონო მითვისებას, დიდი ქრთამების აღებას.

### კონტრაბანდისტები არ ცხრებიან

ამას წინათ აქაური ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას ინდონეზიის საბაჟო სამსახურის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ამ ბოლო დროს განხორციელებულ დაპატიმრებათა მიუხედავად იატაკქვეშა კონტრაბანდისტული სინდიკატები არ აპირებენ თავიანთი საქმიანობის შეწყვეტას. ჩინებული ტექნიკური აღჭურვილობა, ოპერაციების ზუსტი დაგეგმვა, უმკაცრესი კონსპირაცია — აი როგორ ახასიათებენ მათს „მუშაობას“, რომელიც უდიდეს ზარალს აყენებს ეროვნულ ეკონომიკას.

განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებენ კონტრაბანდისტები რიაუს არქიპელაგის რაიონში, ინდონეზიის, მალაიზიისა და სინგაპურის საზღვაო საზღვარზე. უკანონო ექსპორტის მთავარი საგანია კაუჩუკი და კალა. რეაქტიული ძრავებით აღჭურვილი მალი კატარღებით კონტრაბანდისტებს ინდონეზიაში შეაქვთ აგრეთვე ტრანზისტორული რადიომიმღებები და მაგნიტოფონები, კოსმეტიკა და ნაწილებად დაშლილი ჩარხები. ჯაკარტასა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ნაწილებად ჩატანილ კონტრაბანდის საგნებს იატაკქვეშა ასაწყობ პუნქტებში უყრიან თავს, ყუთებში ალაგებენ, „სასაქონლო სახეს“ ანიჭებენ და ადგილობრივ ბაზარზე გააქვთ.

### ვისაც პირის გემო აქვს, ჯიბეც სქელი უნდა ჰქონდეს

სინგაპურელმა გურმანებმა განგაში ატეხეს. ჩინური კულინარიის ერთ-ერთი უგემრიელესი კერძი — „მერცხლის ბუდის წვნიანი“ სულ უფრო მიუწვდომელი ხდება რიგითი სინგაპურელებისათვის. ინდონეზიიდან, ტაილანდიდან და მალაიზიიდან „მერცხლის ბუდის“ მომწოდებლები იძულებული არიან განუწყვეტლივ გააძვირონ „ნედლეული“, რადგან მისი წყაროები იშრიტება. სინგაპურის პრესა ნაღვლიანად აღნიშნავს, რომ უკვე ახლა ერთი პატარა მათლაფა წვნიანი სულ ცოტა 10 დოლარი ჯდება, თანაც ეს წვნიანი რამდენიმე დღით ადრე უნდა შეუკვეთოთ.

კენეტ ლოუ თავის განთქმულ „ჩინური სამზარეულოს ენციკლოპედიაში“ გვაუწყებს, კლასიკურ „კანტონურად მომზადებულ მერცხლის ბუდის წვნიანს“ უჩვეულო სურნელება აქვს და ძალზე გემრიელიაო. ჯერ კიდევ მინის დინასტიის ეპოქაში ჩინელი ვაჭრები კალიმანტანის ჯუნგლებში და სუმატრის გაუვალ ჭაობებში ჩადიოდნენ, რათა ფაიფურის, ოქროსა და ჩინური აბრეშუმის ფასად ადგილობრივი მოსახლეობისაგან სასურველი მერცხლის ბუდე შეეძინათ.

მაგრამ ჩვენს დროში სულ უფრო კლებულობს კოლონიები, სადაც მერცხლები სახლდებიან. ამას იწვევს არა მარტო მათი ბუდეების მტაცებლური განადგურება, არამედ აგრეთვე ინსექტიციდების ზემოქმედებით გარემოს მოწამვლა, თანაც მერცხლის ბუდის მოპოვება საპატიო საქმიანობად აღარ ითვლება დაიაკის ტომებს შორის, რომლებიც საბახსა და სარავაკში ცხოვრობენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — სინგაპურელთა საყვარელი კერძი მხოლოდ ადგილობრივი ბობოლებისა და უცხოელი ტურისტებისათვის ხდება მისაწვდომი.

ვ. ფიოდოროვი,

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი

ჯაკარტა.

სიყალბე ეთერში

## ნამქეზებლები

### ანუ ვინ ამახინჯებს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის არსს

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები კეთილსაყოფიერ პირობებს უქმნის სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას. ამასთანავე, დასავლეთის გარკვეული წრეები ცდილობენ დაამახინჯონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის არსი, ორი იდეოლოგიის ბრძოლის როლის გაძლიერების ფაქტი გამოიყენონ იმის გასამართლებელ არგუმენტად, რომ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერსიების ახალი კამპანიები გაიჩაღონ.

ანტისაბჭოური პროპაგანდის საშუალებათა გამალებულ ზრდას წლითიწლობით სულ უფრო მასობრივი მასშტაბი ენიჭება. ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ცდილობენ ანტისაბჭოური თავდასხმები გაამართლონ „საბჭოთა მუქარის“ შესახებ ზღაპრებით. მაგრამ ამის მიზეზი სხვა რამ არის. იმპერიალისტურ უთანხმოებათა გამწვავება რეალური სოციალიზმის მზარდი წარმატებების ფონზე მიმდინარეობს. მისი გამოცდილება და მისი იდეოლოგია სულ უფრო მეტად იზიდავს სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით ადამიანს. დასავლეთში მემარცხენე ძალების გავლენის გაძლიერებასა და იდეოლოგიაზე „მოთხოვნას“ იმპერიალისტური რეაქცია წარმოგვიდგენს როგორც... კომუნისტური „ძირგამომთხრელი პროპაგანდის“ შედეგს.

ინფორმაციის შინაკაპიტალისტურ ბაზარზე გამალებული ანტისაბჭოური პროპაგანდა მარტო გულმოდგინედ წარმართული ანტისაბჭოური ისტერიის გამოხდომებით როდი ვლინდება. ამავე დროს ხორციელდება ღონისძიებანი, რათა დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობა ჩამოაცილონ საზღვარგარეთის იდეოლოგიურ გავლენას — ზღუდავენ მოკლეტალღიანი რადიომიმღებების წარმოებას (ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი რადიომიმღებების საერთო რიცხვის სულ მხოლოდ ნახევარ პროცენტს შეადგენს), პირდაპირ შინ ტელევიზორებზე თანამგზავრებიდან უშუალო სატელევიზიო მაუწყებლობის პერსპექტივის გამო ყოველნაირად უწყობენ ხელს ტელევიზიის საკაბელო ქსელების განვითარებას, აგრეთვე ვიდეოკასეტების გავრცელებას, თითქმის სრულიად არ ყიდულობენ კინოფილმებს სოციალისტური ქვეყნებიდან, ითარგმნება თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ძალიან ცოტა ნაწარმოებები (როგორ შეედრება სსრ კავშირში დასავლელი ავტორების თარგმანების რიცხვსა და ამ წიგნების ტირაჟებს), აფერხებენ ტურიზმის განვითარებას და დასავლელი მოქალაქეების საქმიან კონტაქტებს სოციალისტურ ქვეყნებთან.

იმპერიალიზმის შეტევით იდეოლოგიური თავდაცვის ღონისძიებებს ემატება სოციალისტურ სახელმწიფოთა საქმეებში მზარდი ჩარევა. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბურჟუაზიული სისტემის გამოყენება, რომელიც სპეციალურად სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობისათვის არის განკუთვნილი — მათი მთავრობების გვერდის ავლით — ყველაზე უფრო სწრაფად ჰელსინკის თათბირის შემდეგ ვითარდება.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე იმპერიალისტური რადიომაუწყებლობა ჩვენს ქვეყნებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოღწევისა და იდეოლოგიური ზეგავლენის ცდების განხორციელების ყველაზე ფართო არხია. ამ ბოლო წლების მანძილზე სოციალისტური ქვეყნებისათვის განკუთვნილი რადიოპროპაგანდა, რომელსაც ბურჟუაზიული სახელმწიფოები ეწევიან, მკვეთრად გაიზარდა. კაპიტალისტური ქვეყნებიდან მარტო სსრ კავშირისათვის გათვალისწინებული რადიოგადაცემების მოცულობამ დღე-ღამეში 200 საათს მიაღწია. „საზღვარგარეთისათვის განკუთვნილი რადიომაუწყებლობა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია“, — ხაზგასმით იყო ნათქვამი პრეზიდენტ ჯ. კარტერის ოფიციალურ მოხსენებაში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი. ამ მაუწყებლობის მთავარ ობიექტი კი, როგორც დადასტურებულია მოხსენებაში, იყო და არის საბჭოთა კავშირი.

იმპერიალისტური ძალები, რომლებიც იყენებენ უზარმაზარ პროპაგანდისტულ აპარატსა და უახლეს ტექნიკურ საშუალებებს, ცდილობენ შეარყიონ სოციალიზმის იდეოლოგიური საფუძვლები, გააცოცხლონ კერძომესაკუთრული ტენდენციები, გაავრცელონ ნაციონალისტური და რელიგიური ცრურწმენები, თავს მოგვახვიონ სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო ჩვევები და შეხედულებანი. ოცი კაპიტალისტური რადიოცენტრის კომენტატორები, რომლებიც რუსულ ენაზე აწყობენ გადაცემებს, საერთაშორისო ეთერში მიმართავენ არა იმდენად აპოლოგეტიკას, ბურჟუაზიული ცხოვრების წესის შელამაზებას, იმპერიალისტური დიპლომატიის მიზნების დაცვას, რამდენადაც ყალბად, სრულიად არაობიექტურად აშუქებენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო ამბებს. განა შეიძლება „ფსიქოლოგიური ომის“ ასეთი პრაქტიკის შეთავსება მორიგებებთან, რომლებსაც ჰელსინკში ხელი მოაწერეს არა მარტო სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა, არამედ მეტი წილი წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების მეთაურებმაც?

როგორც ჩაწერილია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტში, „მონაწილე სახელმწიფოები ...მიზნად ისახავენ უზრუნველყონ ყველა ფორმის ინფორმაციის უფრო თავისუფალი და ფართო გავრცელება, ხელი შეუწყონ თანამშრომლობას ინფორმაციის დარგში და ინფორმაციის გაცვლას სხვა ქვეყნებთან...“

საბოლოო აქტში აღნიშნული პრინციპების საფუძველზე ინფორმაციის გაცვლა მართლაც დიდმნიშვნელოვანი და კეთილშობილური საქმეა, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას, ისეთი საქმეა, რომელშიც საზღვარგარეთისათვის მაუწყებლობა თვალსაჩინო როლს შეასრულებდა. დასავლეთის რადიოსადგურები ხომ საერთაშორისო ეთერში წარმოადგენენ ქვეყნებს, რომლებსაც უდიდესი კულტურული ტრადიციები აქვთ. მაგრამ რას ემყარება სინამდვილეში მათი მონოლოგი იმ ადამიანთა პატარა ჯგუფის სახით, რომლებსაც ხელთ უპყრიათ იმპერიალისტური პოლიტიკისა და ეკონომიკის სადავეები და სრულიადაც არ ცდილობენ განავითარონ ნამდვილი თანამშრომლობა ინფორმაციისა და კულტურული გაცვლის დარგში? სულ ახალ-ახალი ლოზუნგების ძიებას ხომ არა, რათა ჩამოაყალიბონ თავიანთი „მოთხოვნები“ სოციალისტური ქვეყნებისადმი — მოსპონ დაბრკოლებანი „ფსიქოლოგიური ომის“ ბურჟუაზიული ცენტრების არსენალიდან სსრ კავშირში „ინფორმაციის თავისუფალი ნაკადისათვის“, ე. ი. ქნან ის, რაზეც სრულიად საფუძვლიანად ამბობდა უარს საბჭოთა მხარე თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე.

ანტისაბჭოური პროპაგანდის კამპანია პირობითი სახელწოდებით — „ადამიანის უფლებანი“ — გაჩაღეს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა ახალი ადმინისტრაციის დროს, რაც ახალი ლოზუნგით იმ ძველი ცდების განგრძობაა, რომ შეუფერხებლად გაავრცელონ კომუნისტური და ანტისაბჭოური მიზნების მქონე ამერიკული პროპაგანდა.

რადიოცენტრების „განთავისუფლების“ (შემდეგ მას „თავისუფლება“ ეწოდა) და „თავისუფალი ევროპის“ მეშვეობით, კონტრაბანდისტთა დახმარებით სოციალისტურ ქვეყნებში ძირგამომთხრელი იდეოლოგიური პროდუქციის ძალადური ექსპორტის ცდები ჩაიშალა. მაგრამ ათობით სხვა სახელმწიფომ, მათ შორის „მესამე სამყაროს“ ქვეყნებმაც, უდიდესი ზარალი განიცადეს ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ-კულტურული და იდეოლოგიური კოლონიზაციის შედეგად.

ფინელმა მკვლევარმა ტაპიო ვარისმა გამოიანგარიშა, რომ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებსა და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა ამჟამად ხდება პროპორციით 100:1. ამგვარი შეუსაბამო თანაფარდობაა დასავლეთში დიდ და პატარა განვითარებულ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლაშიც. მაგალითად, ავსტრიის პრესის სააგენტო საერთაშორისო ახალი ამბების 95 პროცენტს იღებს დასავლეთის ოთხი (ორი ამერიკული) სააგენტოდან. ავსტრიაში, — წერს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ავსტრიელი ჰაინც ფაბრისი,— თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია ეროვნული კინომრეწველობა და წიგნის გამომცემლობის საქმე. ფაბრისის აზრით, საერთაშორისო კონცერნები ზეგავლენას ახდენენ არა მარტო პატარა ქვეყნების მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა სისტემაზე, საზოგადოების ჩვევებსა და გემოვნებაზე, არამედ განსაზღვრავენ ამ ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

ამერიკულ კაპიტალზე დაფუძნებული ეროვნული კონცერნები მონოპოლისტები არიან როგორც მასობრივი კომუნიკაციის ტექნიკურ საშუალებათა წარმოებაში — რადიომიმღებებით, კაბელიანი და კასეტიანი ტელევიზიით დაწყებული და კავშირის თანამგზავრებით დამთავრებული — ისე მთელი კაპიტალისტური სამყაროს მასშტაბით ამ ახალი საშუალებებისათვის საჭირო პროგრამების წარმოებაში. ლათინური ამერიკის მთელი სატელევიზიო პროგრამების თითქმის ნახევარი და დასავლეთ ევროპის პროგრამების მესამედი მომზადებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაეპატრონა ამერიკის კინოინდუსტრია კაპიტალისტურ ბაზრებს. ამერიკის დიდი კონცერნების უპირატესობა თვალსაჩინოა სარეკლამო საქმეში. მსოფლიოს 10 უდიდესი სარეკლამო ფირმიდან შვიდი უშუალოდ ეკუთვნის ამერიკულ მესაკუთრეებს, ორი კი არაპირდაპირ ამერიკის გავლენას ექვემდებარება.

უცხოეთის სახელმწიფოებისათვის ამერიკული „კულტურის მოდელის“ და მომხმარებლური ფსიქოლოგიის თავსმოხვევა, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაჩნიათ, კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი სფეროა. სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა წინააღმდეგ „ფსიქოლოგიური ომის“ იმპერიალისტური ბიზნესისათვის აუნაზღაურებელი დანაკარგები მოაქვს. ამიტომ მას ძირითადად თავდაცვის ბიუჯეტიდან აფინანსებენ. „ამ ორ რადიოსადგურს (ლაპარაკია „თავისუფლებასა“ და „თავისუფალ ევროპაზე“ — გ. ვ.), — ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის კომისიის მასალებში, — სარგებლობა იმიტომ მოაქვს, რომ ძალების თანამედროვე ბალანსში ისეთ ელემენტს შეადგენს, რომელიც ბევრ დივიზიას უდრის, ოღონდ მნიშვნელოვნად უფრო იაფი ჯდება“. რომელ საღად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია ამტკიცოს, რომ ანტისაბჭოური ძირგამომთხრელი „ამერიკის ხმების“ საქმიანობა, ისევე როგორც მათ დასაცავად ზემოთ მოყვანილი არგუმენტი, ჰელსინკის სულისკვეთებას შეესაბამება!

თანამედროვე საინფორმაციო სტრუქტურის მდგომარეობა აისახება მსოფლიოში ახალი საინფორმაციო წესის შემოღების კონკრეტული ცდებით, რომლებსაც იუნესკომ, მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობამ, ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა და, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურმა ქვეყნებმა მიმართეს. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის პუნქტების შესაბამისად, ამასთან ყურადღება ეთმობა არა მარტო კულტურული გაცვლის გაფართოებას, არამედ თანასწორუფლებიანი გაცვლისათვის საჭირო პირობების შექმნას, რომლის შინაარსი შეესაბამება კულტურათა ურთიერთგამდიდრებას, საერთაშორისო ურთიერთგაგებას, მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობას.

გ. ვაჩნაძე,

დოცენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

## პოპულარული კურორტი



[illegible] ბუნებრივი და კლიმატური პირობები, აქ საშუალო წლიური ტემპერატურა პლუს 14,9 გრადუსია. სოხუმსა და მის შემოგარენში წელიწადში 220 მზიანი დღეა.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის ი. ჰოხონელიძის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია დამსვენებელთა ჯგუფი სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის სანაპიროზე.

## ჟღერს ქართული მუსიკა

**ამ დღეებში** კისლოვოდსკში, ესენტუკსა და პიატიგორსკში გაიმართა ქართული მუსიკის კონცერტების სერია. მსმენელთა წინაშე გამოვიდა კისლოვოდსკის ფილარმონიის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბელორუსიის დამსახურებული არტისტი ვიტალი კატაევი. პროგრამაში იყო საქართველოს დამსახურებული არტისტის ს. ცინცაძის საბალეტო სუიტა „ანტიკური ესკიზები" და ახალგაზრდა კომპოზიტორის თ. შავლოხაშვილის „კონცერტი" ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. სოლოს ასრულებდა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ნ. ჭირაქაძე.

ქართული მუსიკა მოისმინეს ესტონელმა მსმენელებმაც. ესტონეთის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა საქართველოს სახალხო პოეტის გ. ლეონიძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ბ. კვერნაძის — კოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები „ძველი ქართული წარწერები". სოლოს ასრულებდა ახალგაზრდა მომღერალი მ. ადამაძე. ტალინელები გაეცნენ გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონიასაც, რომელიც მიქელანჯელოს ხსოვნას მიეძღვნა. ორკესტრს დირიჟორობდა საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ჯ. კახიძე, რომელმაც მოხიბლა მაყურებელი დიდი ოსტატობითა და შთაგონებული შესრულებით. (საქინფორმი).

## გმადლობთ, ამხანაგო სკოლავ!

**ძალიან** ბევრჯერ, როცა გაკვეთილს იწყებს, გორის რაიონის სოფელ კარალეთის სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი, თადარიგის ლეიტენანტი ალექსი ჩიჩელაშვილი მოსწავლეებს უკითხავს ხოლმე ყოფილი კურსდამთავრებულების წერილებს, რომლებიც არმიიდან არის მოსული. ჯარისკაცული კონვერტები კარალეთში მოდის ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან. რიგითი ჯარისკაცები კონსტანტინე ბერაშვილი, გიორგი ასიტაშვილი, მალხაზ სუხიაშვილი და სხვები ამაყად იწერებიან, რომ ისინი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები გახდნენ.

„ძვირფასო ალექსი ზაქარიას ძევ, — იწერება რიგითი ჯარისკაცი მიხეილ გურგენიშვილი, — ჩემთვის სასიხარულო ამბავი უნდა შეგატყობინოთ. სწავლასა და სამსახურში წარმატებებისათვის მეთაურმა ხანმოკლე შვებულება მომცა. მალე გინახულებთ!".

ჯარისკაცული წერილების შინაარსი ასე შეიძლება განისაზღვროს: „გმადლობთ, ამხანაგო სკოლავ!".

მოსწავლეთათვის ამ წერილების გაცნობა მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთი ფორმაა.

უფროსი კლასების მოსწავლენი ნათლად ხედავენ, თუ როგორ უნდა ემსახურებოდნენ სამშობლოს, როგორ მოემზადონ სამხედრო სამსახურისათვის.

## მწერლის სახელობისა

**ცნობილი** ქართველი მწერალი საფო მგელაძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში დაიბადა და გაიზარდა. იგი ამ სოფლის სკოლაში სწავლობდა. შემდეგ კი მასწავლებლობდა. მწერალი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში და პოემებში შთამბეჭდავად აღწერს ძველი ყოფის, ასევე ახალი სოციალისტური გარდაქმნების ნათელ სურათებს.

სოფელი არ ივიწყებს ამაგდარი მოღვაწის ხსოვნას, საშუალო სკოლას, სადაც მწერალი სწავლობდა საფო მგელაძის სახელი მიეკუთვნა, სკოლის კოლექტივს ახლო ურთიერთობა აქვს მწერლის შვილებთან და შვილიშვილებთან. განზრახულია სკოლის შენობაში მოეწყოს მწერლის სახელობის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იქნება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

შ. ზაქარიაძე.

## ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, მთიან რაიონებში თოვლი, დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 2-7 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მცირე წვიმაა მოსალოდნელი, ტემპერატურა — ბარში 13-18, მთებში 1-6 გრადუსი სითბო.

თბილისში იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 16-18 გრადუსი სითბო.

ფიქრები სეზონის წინ

# ფეხბურთი 1978 მობრძანდა!

## საპრიზო — მხოლოდ სამი, მაძიებელი კი?!.

**სტარტზე დადგა ქვეყნის 41-ე ჩემპიონატი. ალბათ ახლავე უნდა ითქვას, რომ მისი რეგლამენტი წლეულს უჩვეულო ხასიათისა იქნება. ფეხბურთის ისტორიაში პირველად დაწესებულია ფრედ დამთავრებული მატჩების ლიმიტი. მხოლოდ პირველი რვა ახეთი შედეგისათვის დაერიცხებათ გუნდებს თითო ქულა, ხოლო ყოველი მომდევნო ფრე წაგებად ჩაეთვლებათ.**

ამ რეფორმამ სპეციალისტებისა და ფეხბურთის ქომაგთა რეაქციის ქარიშხალი გამოიწვია. მე მიზნად არ ვისახავ განვსაჯო მისი სიკეთე თუ ნაკლი. მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იგი მიღებულ იქნა, როგორც საპასუხო ღონისძიება იმ ძალზე საშიში დაავადების წინააღმდეგ, რომელმაც დააკნინა ჩვენი ფეხბურთი და შეთანხმებული ფრე ჰქვია. ფეხბურთის კვალიფიციურ ქომაგებს, ვფიქრობ, ესმით, რაზეა ლაპარაკი. ბევრი ჩვენი გუნდი ამა თუ იმ მატჩში გაურბოდა ხოლმე ნამდვილ სპორტულ ბრძოლას და ფეხბურთის თამაშს მინდორზე დროის უაზროდ გატარებად აქცევდა.

არცა ღირს იმის თქმა, თუ რა ზიანი მიაყენა ამან ჩვენს ფეხბურთს. მსოფლიო პირველობის შერჩევითს ტურნირში ქვეყნის ნაკრების წარუმატებლობათა ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ბევრმა ჩვენმა საუკეთესო მოთამაშემ ვერ შეძლო ამ მატჩებში გამოევლინებინა უმაღლესი ნებელობითი თვისებები და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ამ თვისებების გამოვლენას გადაეჩვივნენ სსრ კავშირის პირველობის მატჩებში. უბრძოლველად ვერ გაიმარჯვებ! ეს ბანალური ჭეშმარიტებაა და ვინც ამას ივიწყებს, მწარედ ინანებს ხოლმე.

ახალმა რეგლამენტმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს გუნდების სატურნირო სტრატეგიაში. დავუშვათ, რომ ძველი სისტემით გუნდი 30 მატჩიდან თხუთმეტს მოიგებდა, ხოლო ამდენივეს ფრედ დაამთავრებდა, ე. ი. 45 ქულას დააგროვებდა. ახლა მას დააკლდება 7 ქულა (15-7) და იგი მხოლოდ 38 ქულას დააგროვებს. ამავე ახალი სისტემით კი, ვთქვათ, 39 ქულის დაგროვებას შეძლებს გუნდი, რომელიც 16 მატჩს მოიგებს, შვიდს ფრედ დაამთავრებს, ხოლო ამდენივეს წააგებს. ხედავთ, რამდენი საფიქრალი გაუჩნდათ მწვრთნელებსაც და მოთამაშეებსაც?! ახლა გუნდებს არცთუ ისე უნდა აშინებდეთ წაგება. მთავარ მიზნად კი რჩება გამარჯვება. შეიძლება მითხრან, განა ყოველთვის ასე არ იყოო და პასუხად ვერც ვერაფერს ვიტყვი.

მაგრამ, თუ წინათ გუნდების მეტ ნაწილს ჩემპიონატში სავსებით აძლევდა ხელს ნეიტრალური ფორმულა „არ წავაგოთ", ახლა წარმატების მთავარი პრინციპი გამოიხატება სხვა, უფრო აქტიური პრინციპით — „გავიმარჯვოთ!".

მე მესმის, რომ ახლა რეგლამენტშიც შეიძლება იპოვო არა ერთი ხარვეზი, თუ თეორიულ ჩხრეკას დაიწყებ. უფრო მეტიც, ვინც ფიქრობს კვლავაც განაგრძოს „შეთანხმებულური" ხაზი, ამ სისტემაშიც მონახავს „საძრომს". მაგრამ მე მინდოდა მხოლოდ ყურადღება მიმეპყრო იმაზე, თუ რა ახალი შესაძლებლობები ექმნებათ გუნდებს.

თუმცა, თავი დავანებოთ ფორმულებს. ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ და რით ხვდებიან ჩვენი გუნდები ახალ ჩემპიონატს.

**რასაკვირველია, ყველაზე საინტერესოა საკითხი — ვინ იბრძოლებს პირველობის მთავარი ჯილდოებისათვის?**

**რა თქმა უნდა, კიევის „დინამო"...**

ამ გუნდის შესახებ, უფრო სწორად, მის თამაშზე, სხვადასხვა შეხედულება არსებობს. მე ჩემსას ვიტყვი: ვფიქრობ, რომ კიეველების ზრდა, მას შემდეგ, რაც დიდი წარმატებები მოიპოვეს 1975 წელს, შეჩერდა და მომდევნო სეზონებში ისინი მხოლოდ წარსულის დივიდენდებით ცხოვრობდნენ. გუნდი, რომელსაც მშვენიერ მოთამაშეთა პლეადა ჰყავს, კმაყოფილდებოდა იმ მინიმუმით, რომელიც კონკრეტული სატურნირო წარმატებისათვის იყო საჭირო. საერთოდ კი კიევის „დინამომ" ამ წლებში უმაღლეს წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ მიაღწია, როცა შარშან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო წარუმატებლობანი ქვეყნის თასის გათამაშებაში, 1976 წლის ჩემპიონატში, ევროპის ტურნირებში შემთხვევითი როდი იყო.

გავიდა წლები და ბევრი იმათგანი, ვისაც ადრე წარმატება მოჰქონდა, იძულებული გახდა გამოთხოვებოდა გუნდს. „დნეპრში" გადავიდნენ ტროშკინი და მატვიენკო, დიდი ფეხბურთი დატოვა მუნტიანმა... თუმცა კიეველებმა ყოველწლიური შევსებაც მიიღეს — თავდამსხმელები მალკო „დნეპრიდან" და ციმბალიუკი „კარპატიდან". მიმდინარეობს გუნდის განახლების ბუნებრივი პროცესი. კიეველთა მთავარ მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის ჟურნალისტებთან საუბარში, თითქოს თავის დაზღვევის მიზნით, ასეთი აზრი „წამოსცდა", რომ მისი გუნდი, თავისი რიგების საბოლოო გადახალისებისათვის, მზად არის მსხვერპლადაც კი გაიღოს ჩემპიონის ერთი ტიტული. მხედველობაშია 1978 წლის სეზონი.

ასეა თუ ისე, კიეველები, რა თქმა უნდა, რჩებიან ოქროს მედლების მთავარ პრეტენდენტებად. რაც უნდა იყოს, მაღალი კლასის მოთამაშეები საშუალო რგოლსა თუ თავდასხმაში, მათ მეტი ჰყავთ, ვიდრე რომელიმე სხვა გუნდს. ერთგვარი სისუსტე შეიმჩნევა მათს დაცვაში. მეკარე იურკოვსკი, მცველები ლოზინსკი, რეშკო, ფომენკო, ბერეჟნოი, რა თქმა უნდა, ის ვარიანტი არ არის, რაც უნდა იყოს.

მაშ, თუ კიეველები არა, ვინღა?

**შარშან საბჭოთა ფეხბურთის ქომაგთა ყურადღება მიიპყრო თბილისის „დინამოს" თამაშმა.** ჩვენ მივეჩვიეთ ციფრებით ლაპარაკს, ციფრებით ამა თუ იმ მოსაზრების დამტკიცებას. მაგრამ მათ შორის მე ყველაზე უფრო „უტყუარ" რამედ მიმაჩნია გუნდის თამაშებზე დასწრების საშუალო ციფრი.

იგი თბილისის დინამოელებს გაცილებით მაღალი აღმოაჩნდათ, რაც იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ფეხბურთის მოყვარულთ მოსწონთ გუნდის თამაში.

თბილისის „დინამოს" თამაშში პროგრესს მე ვხედავ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მან ცალმხრივობა მოიშორა თავიდან. მაგალითად, ადრე ჩვენ ეს გუნდი გვეყვარდა თავდასხმაში ნათელი, ლამაზი თამაშის გამო,-იმ უნარის გამო, რომ იგი უტევდა მწვავედ, არასტანდარტულად. ჩვენ ეს ახლაც მოგვწონს და ამის მაგალითი ყველას თავისი გემოვნების მიხედვით შეუძლია მოიყვანოს. მაგრამ ახლა თბილისის „დინამო" მხოლოდ ასე როდი თამაშობს. მოვიგონოთ თუნდაც კლასიკური მატჩი მილანში „ინტერის" წინააღმდეგ, ან უფრო ადრინდელი სათასო ნახევარფინალური შეხვედრა დონეცკში „შახტიორთან". გაოცებოდით, რა დახვეწილად და საზრიანად მოქმედებდნენ ამ მატჩებში თბილისელები. მათ მეტოქე დაჯაბნეს იხე, როგორც ამას აკეთებენ მოჭადრაკეები — გონივრული და ტექნიკური თამაშით. და სწორედ იმის უნარი, რომ შეგიძლია ითამაშო სხვადასხვაგვარად, იმის და მიხედვით, თუ ვინ არის შენი მეტოქე, არის მაღალი კლასის ერთ-ერთი დადასტურება. და ამაში წვლილი მიუძღვის თბილისელთა უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს — ახალგაზრდა სპეციალისტს, ღრმად ერუდირებულ ადამიანს, რომელსაც ესმის და თავდავიწყებამდე უყვარს ფეხბურთი.

ვფიქრობ, რომ ახლა თბილისის „დინამო" მოთამაშეთა შერჩევითაც ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია ჩვენს ქვეყანაში და ამ მხრივ ტოლს არ უდებს კიეველებს. მაგონდება, თუ როგორი შურით ლაპარაკობდა მოსკოვის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი ა. სევიდოვი, თბილისელებს ყოველ რგოლში საკუთარი ლიდერი ჰყავთო (ეს, როგორც ჩანს, ყოველი მწვრთნელის ოცნებაა): დაცვაში — ხინჩაგაშვილი, საშუალო რგოლში — მ. მაჩაიძე, თავდასხმაში — ყიფიანი, რომლებიც აერთიანებენ და წინ უძღვებიან როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილ მოთამაშეებს. მე მიზნად არ ვისახავ ცალ-ცალკე დავახასიათო თითოეული მათგანი, მაგრამ ვიმეორებ, ფეხბურთელთა შერჩევის ასეთ შესაძლებლობას შურის თვალით შესცქერის ბევრი მწვრთნელი.

მაშ რა აკლია გუნდს, რომ საბოლოოდ დაიმკვიდროს ლიდერის როლი?

ამას წინათ, როგორღაც, მე და ჩემი კოლეგები ვიხსენებდით, თუ როდის მოუგეს უკანასკნელად თბილისელებმა კიეველებს ჩემპიონატში. ჰოდა, ვერა და ვერ გავიხსენეთ. ალბათ ძალიან დიდი ხნის წინათ იყო ეს და სწორედ ამან შთამაგონა გადამექექა სატურნირო ცხრილები და დამედგინა, რომ თბილისის „დინამო" უკანასკნელ წლებში ძალზე იშვიათად ამარცხებს ძლიერ მეტოქეებს პრინციპულ მატჩებში. ვფიქრობ, ეს გუნდის წმინდა ფსიქოლოგიური თავისებურებაა, რადგან იგი ბოლომდე არ არის დარწმუნებული თავის ძალებში.

როგორ ფიქრობთ, აქვთ თუ არა კიეველებს თბილისში წაგების შიში? ვფიქრობ, აქვთ და მერე როგორი. მაგრამ თბილისელები, თავის მხრივ, კიეველებთან სათამაშოდ რომ გადიან მინდორზე არანაკლებ განიცდიან ასეთსავე შიშს — იმდენად დიდია მათთვის მეტოქის ავტორიტეტი. ყველა ჩვენს გუნდს კი მაგალითს უჩვენებს მოსკოვის „დინამო", რომელიც კიეველებთან ყოველი შეხვედრის დროს მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — გაიმარჯვოს. და ასეთ ფსიქოლოგიურ სილაღეს არაერთგზის მოუტანია მათთვის წარმატება.

ეს თავს იჩენს არა მარტო ლიდერებთან შეხვედრაში., მაგალითად, მოსკოვში „ლოკომოტივთან" რომ თამაშობენ, გუნდთან, რომელიც მათ გაცილებით ჩამორჩება კლასით, თბილისელები აშკარად ცდილობენ მიაღწიონ ფრეს.

ცუურიხში „გრასჰოპერსის" წინააღმდეგ თბილისის „დინამო" რატომღაც აშკარად თავდაცვითს ვარიანტს ირჩევს, წამდაუწუმ უკან, მეკარეს აწოდებს ბურთს. რითაც დამთავრდა ეს, ყველამ ვიცით.

სრულიადაც არ მოვუწოდებ გუნდს თვითდამშვიდებისათვის, ქედმაღლობისათვის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, იგი ნაბიჯს ვერ გადადგამს წინ, თუ თავის ძალას არ ირწმუნებს.

**იმათ შორის, ვინც პრეტენზიას აცხადებს მედლებზე, მე განსაკუთრებით გამოვყოფდი მოსკოვის „დინამოს"**, რომელმაც უკვე მარტში მიაღწია სულ ცოტა ზაფხულის დონეს. თასების თასის გათამაშებისათვის ეს ცუდი არ არის, მაგრამ მომავალში როგორ წავა საქმე? ყოველ შემთხვევაში გუნდის მწვრთნელებს უკვე აფიქრებთ სათამაშო კონდიციის დაქვეითება.

**პატივმოყვარული იმედები აქვს მოსკოვის „ტორპედოსაც"**, რომელიც წელს ნიჭიერი ნახევარმცველით გაძლიერდა. ეს გახლავთ „დნეპრიდან" გადმოსული იაკოვლევი.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება.

და კიდევ ერთი დებულების შესახებ. მომდევნო სეზონში უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი კი არ ითამაშებს, არამედ — 18. ამის გამო პირველი ლიგიდან წლეულს უმაღლესში გადავა სამი გუნდი. ეს დებულება სამი წლის წინათ რომ შემოეღოთ, მაშინ უმაღლეს ლიგაში გადასვლის უეჭველი კანდიდატი, რასაკვირველია, ქუთაისის „ტორპედო" იქნებოდა. ამასობაში გუნდის შემადგენლობა შეიცვალა და გაახალგაზრდავდა. მას ახლა ახალი მწვრთნელი ჰყავს — რევაზ ძოძუაშვილი. ქუთაისელები ყოველთვის ცნობილი იყვნენ იმით, რომ მათს კლუბში გამუდმებით ჩნდებოდნენ ხოლმე ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები. ასეთები ახლაც არიან აქ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ, თუ მათ ამ სეზონში დიდი წარმატება მოუთხოვეთ, ეს არც თუ ისე რეალური იქნება. თუმცა ფეხბურთი სავსეა მოულოდნელობებით, სწორედ ამიტომ გვიყვარს იგი ასე!

**ო. კუჩერენკო,**
გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფეხბურთის მიმომხილველი.
მოსკოვი.

## გუშინ და დღეს — ფეხბურთი

**გუშინ** დნეპროპეტროვსკში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს — ადგილობრივი „დნეპრისა" და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა. წლევანდელი ჩემპიონატის ეს პირველი მატჩი დამთავრდა „დნეპრის" სასარგებლოდ 1:0. გოლი მე-14 წუთზე გაიტანა კუცევმა.

გუშინვე დიმიტროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" დუბლიორთა მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. გოლი გაიტანა ძებისაშვილმა.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მინაშვილი, რუხაძე, დურდიაძე, გოგოლაძე შოთაძე (ახობაძე), მინაშვილი, ებანოიძე, ძებისაშვილი, კაკილაშვილი, ბაზაზაშვილი, მუმლაძე (ჯოხაძე).

**დღეს 7 მატჩია. აი, ვინ ხვდება ერთმანეთს (შეხვედრები გაიმართება პირველად დასახელებულთა სტადიონებზე): „კაირატი" — „ლოკომოტივი", „პახტაკორი" — ცსკა, „არარატი" — „ზენიტი", „ჩერნომორეცი" — „დინამო" (კ.), „ნეფტჩი" — „ტორპედო", „შახტიორი" — „ზარია".**

**თბილისის დინამოელები დღეს მასპინძლობენ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ მოსკოველ სპარტაკელებს.**

## მოკლედ

**ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილე ბრაზილიის ნაკრები ტურნეს აწყობს ევროპაში. ბრაზილიელებმა რიგით, მეორე მატჩი გამართეს. ამჯერად ისინი შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს. მატჩი გაიმართა ჰამბურგში და გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — 1:0. ეს ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე გაიტანა ნუნიესმა. შეგახსენებთ, ევროპაში ტურნეს პირველი მატჩი ბრაზილიელებმა საფრანგეთის ნაკრებთან წააგეს — 0:1.

**წყალბურთი.** მინსკში, წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურნირის მორიგი შეხვედრა თბილისის დინამოელებმა ჩემპიონატის ლიდერთან — მოსკოვის „დინამოსთან" ფრედ დაამთავრეს — 4:4.

**კალათბურთი.** მადრიდის „რეალმა" მიუნხენის ოლიმპიურ დარბაზში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი მოუგო ქალაქ ვარესეს (იტალია) „მობილჯირჯის" ანგარიშით 75:67 (40:41). ეს თასი „რეალმა" მეექვსედ დაისაკუთრა.

**ჭიდაობა.** თავისუფალ ჭიდაობაში გუნდურ შეხვედრაში, რომელიც მიჩიგანის შტატის ქალაქ ენ-არბორში გაიმართა, სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ის ნაკრები ანგარიშით 10:2.

**ჭადრაკი.** რიგაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ქალთა შორის გაიმარჯვა მოგილიოველმა 16 წლის ვალერია ჟიდკოვამ. მან მრავალჭიდში 37,7 ქულა დააგროვა.

**ხელბურთი.** მინსკში, ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი ორი მატჩი წააგო თბილისის „ბურევესტნიკმა": ჯერ ლვოვის არმიელებთან (20:24), შემდეგ კი მინსკის არმიელებთან (18:21).

სპორტი

ჭადრაკი

## ლვოვის ზონალური

**ლვოვის** ზონალური ტურნირის მეორე ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. დორფმანმა (ლვოვი)-ვაპანიანი (ერევანი), კუზმინ (ვოროშილოვგრადი)-ბაგიროვი (ბაქო) და ბალაშოვ (მოსკოვი)-სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) ჯაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულით წინ არის დიდოსტატი იური ბალაშოვი.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## ტელევიზია

### პირველი პროგრამით

#### 10 აპრილი

09.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 9.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთის ეტიუდები" (ფერადი), 17.00 — მოსწავლეთათვის — სამართლისმცოდნეობა, 18.55 — „საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე", 19.10 — მუსიკალური შესვენება. 19.15 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური" (მოსკოვიდან), 20.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.20 — „პოეზიის საღამო" — რეზო ამაშუკელი, 21.00 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის კ. გეორგიანის მონაწილეობით, 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები — გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

#### 11 აპრილი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.30 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.00 — „საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის შესახვედრად" (მოსკოვიდან), 19.00 — „პარტიული ცხოვრება" — „პრობლემა, ხარისხი", 19.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „წვეულება იტალიელებთან", 20.45 — „საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი „სიმღერები კოსმოსზე", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოს საშყაროში", 23.35 — „სპორტული მიმოხილვა".

მაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული დოკუმენტური ფილმები „ალექსი მაჭავარიანი" და „[illegible]" (ფერადი), 23.30 — კონცერტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის, რუსეთის სახალხო არტისტის ნ. იაკოვლევის, რუსეთის დამსახურებული არტისტების გ. კალინინასა და რ. კოტოვის მონაწილეობით (მოსკოვიდან).

#### 14 აპრილი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „კოლხეთის ფერისცვალება" (ფერადი), 09.50 — პროგრამა, 14.00 — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია. ტრანსლაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან, 18.00 — ქართული დოკუმენტური ფილმები — „ნდობა" და „ვარციხჰესის მშენებლები", 18.20 — მოსწავლეთათვის — „სატურნი" (ფერადი), 19.20 — ქართული მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები", 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე.

#### 15 აპრილი

09.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 10.00 — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია. ტრანსლაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან, 16.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ბავი" (ფერადი), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — „აშკარა — დაუჯერებელი" (მოსკოვიდან), 19.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ცეცხლში ნაწრთობი" (ფერადი), 19.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.00 — საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან (ფერადი), 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ციმბირელი პაპა" (ფერადი).

#### 12 აპრილი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი. 16.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.25 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.55 — საზეიმო კრება, მიძღვნილი კოსმონავტიკის დღისადმი. ტრანსლაცია საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრიდან, 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" (თბილისი), „დინამო" (კიევი) — რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. ვიდეოჩანაწერი (ფერადი), 21.45 — „საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე", 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული პროგრამა (მოსკოვიდან).

#### 13 აპრილი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.30 — „1978 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად ლიტერატურის დარგში" (მოსკოვიდან), 17.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური", 17.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძღერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვოკალური ტრიო" (ფერადი) 18.25 — „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის შუქზე" — „მარქსიზმ-ლენინიზმის აქტუალური საკითხები", 18.45 — კონცერტი — ქართული მუსიკის სიახლენი, 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მოსკოვიდან), 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.05 — „ვერნისაჟი", 20.35 — სტუდიაში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ...

#### 16 აპრილი

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 09.40 — დოკუმენტური ფილმი „გრიგორი ალექსანდროვი და ლუბოვ ორლოვა", 10.30 — „სალვიძათა" (მოსკოვიდან), 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.50 — ტელემაყურებელთათვის — ქართული ენა, 12.20 — „კინოაფიშა", 12.50 — „ცეკვოდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე), 13.20. — „ჩვენი საკითხველო დარბაზი" — განმეორებით (ფერადი), 14.20 — „ჩვენი სოფელი" — სატელევიზიო პროგრამა, 15.05 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები" (ფერადი), 15.35 — ბავშვებისათვის სატელევიზიო ჟურნალი „კინომოზაიკა", 16.00 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი, 17.45 — „ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი". (მოსკოვიდან), 19.00 — „საუბრები საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაზე", 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — აფხაზეთის თვითმოქმედების მონაწილეთა კონცერტი, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.00 — „კინომოგზაურთა კლუბი" (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოს მოყვარულთათვის".

## ოფიციალური ცხრილი

**მომგებიანი ანაბრის მოგებათა 71-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. სამტრედიაში 1978 წლის 5 აპრილს მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:**

| ანაბრის ნომერი | მოგების თანხა | ანაბრის ნომერი | მოგების თანხა |
|---|---|---|---|
| ა—18 | 25% | ა—543 | 25% |
| ა—35 | 25% | ა—575 | 25% |
| ა—45 | 25% | ა—609 | 25% |
| ა—116 | 25% | ა—672 | 25% |
| ა—134 | 25% | ა—676 | 25% |
| ა—187 | 25% | ა—689 | 25% |
| ა—224 | 25% | ა—721 | 25% |
| ა—250 | 100% | ა—787 | 25% |
| ა—292 | 25% | ა—789 | 25% |
| ა—301 | 25% | ა—803 | 25% |
| ა—327 | 25% | ა—810 | 25% |
| ა—359 | 25% | ა—867 | 25% |
| ა—397 | 25% | ა—902 | 25% |
| ა—401 | 25% | ა—903 | 50% |
| ა—464 | 25% | ა—908 | 25% |
| ა—499 | 25% | ა—991 | 50% |

[illegible]

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე — [illegible] რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. მელქაძე

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სახშრომშემსალაროების საქ. რესპ. მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. შევარდნაძე

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ბ. კურტანიძე

## ტელევიზია

### 8 აპრილი

#### პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბატილიმანი" (ფერადი), 09.55 — „ბურატინოს გამოფენა" (მოსკოვიდან), 10.25 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მოსკოვიდან), 10.55 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა" (მოსკოვიდან), 11.25 — „მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში" — დრეზდენის სურათების გალერეა (მოსკოვიდან), 11.55 — დოკუმენტური ფილმი „მამისეული ტყე" (ქართულ ენაზე), 12.15 — შევისწავლოთ ქართული ენა, 12.45 — ფილმი-ბალეტი „სპარტაკი" (ფერადი), 14.20 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი, 14.45 — „ჩვენი სტუმრები", 15.25 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს", 15.55 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 16.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ცეცხლში ნაწრთობი" (ფერადი), 17.55 — „საუბრები საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტზე", 18.10 — ჩვენ საქართველოს ახალგაზრდობა. 18.45 — კინოჟურნალი, 18.55 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი)-„სპარტაკი" (მოსკოვი). რეპორტაჟი თბილისის ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. (ფერადი). შესვენების დროს — კინოჟურნალი, 20.45 — „მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციის პროექტები" (მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამარჯობა, მეზობელო!", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. საბჭოთა კავშირისა და კუბის ნაკრები გუნდები. ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

#### მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ჩემს ჯადოქრობას გეფიცები" (ფერადი), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი, 19.00 — კონცერტი, 19.45 — მხატვრული ფილმი „გასართობი მოხუცებისათვის" (ფერადი), 21.00 — დოკუმენტური ფილმი „ასეთი ახალგაზრდობა".

## რადიო

### 9 აპრილი

#### პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.33 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან) 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვიდან) 12.15 — „პოეტი მიკროფონთან" — მ. კახიძე, 12.30 — პ. ამირანაშვილის კონცერტი, 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი", 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (ერევნიდან), 15.45 — მღერის ლ. გველესიანი, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 19.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 20.30 — „მოგონებანი ს. ახმეტელზე", 22.50 — „ხვალ რადიოთი", 23.30 — ქართული კინოფილმების მუსიკა;

## თეატრი

### 8 აპრილი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე; შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იქითკენ გურჯი; მინიატიურების სახელმწიფო — ეშმაკის კუდი; კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნო — კარებს აჯახუნებენ.**

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ზ80096 თბილისი-96. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03. 99-03-09. პ/მ მდივნის — 99-72-80. ხამდივნოსა — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61 კომკავშირის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-63-48. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-65-01. ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-64

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 07777 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14